

0ზოლდა სუპერვილი

მათემატიკა

მოსწავლის წიგნი
| ნაწილი

4



საქართველოს მაცნე



$$\begin{array}{r} 2 * 4 \\ \times \quad * \\ \hline * 02 \end{array}$$

$$\begin{array}{r} * 71 \\ \times \quad * \\ \hline 8 * 3 \end{array}$$



იზოლდა ხუციშვილი

მათემატიკა

მეოთხე კლასის მოსწავლის წიგნი
პირველი ნაწილი

4



საქართველოს მაცნე

გრიფმინიჭებულია საქართველოს განათლებისა და
მეცნიერების სამინისტროს მიერ 2018 წელს

მათემატიკა

მეოთხე კლასის მოსწავლის წიგნი პირველი ნაწილი

ავტორი იზოლდა ხუციშვილი
რედაქტორი მაია ყაჯრიშვილი
დიზაინერ- ლელა კობიაშვილი
დამკაბადონებელი

გამომცემლობა „საქართველოს მაცნე“
მის: ქ. თბილისი, ე. მაღალაშვილის ქ. №5
ტელ: 568105467; 574 400 857
ელ.ფოსტა: saqmatsne@mail.ru, sakmacne@gmail.com
www.saqmatsne.ge

© გამოცემლობა „საქართველოს მაცნე“, 2018
© ი. ხუციშვილი, 2018
გამოცემის წელი და რიგითობა 2007, 2018 წელი
ISBN 978-9941-16-606-8

შინაარსი

I თავი. რიცხვები 1-დან 1000-მდე

§1.	გაიმეორე ნასწავლი, გაიღრმავე ცოდნა.....	5
§2.	ერთნიშნა რიცხვზე გამრავლება ქვეშმიწერით.....	14
§3.	ნაშთიანი გაყოფა	22
§4.	ნაშთიანი გაყოფის შემოწმება.....	24
§5.	ოთხნიშნა რიცხვები.....	31
§6.	სათანრიგო შესაკრებთა ჯამი.....	35
§7.	რიცხვების შედარება.....	37
§8.	სხვაობის გამრავლება რიცხვზე	39
§9.	მართკუთხა პარალელეპიდედი	41

II თავი. მრავალნიშნა რიცხვები

§1.	ხუთნიშნა და ექვსნიშნა რიცხვები.....	47
§2.	თვლის სისტემები.....	54

პირობითი ნიშნები

– ჩაწერე ისეთი რიცხვი, რომ სწორი ტოლობა მიიღო.

* – შეცვალე ფიფქი ციფრით ისე, რომ სწორი ტოლობა ან უტოლობა მიიღო.

+ , - , · , : – მრავალწერტილი შეცვალე მითითებული მოქმედებებიდან ერთ-ერთით ისე, რომ სწორი ტოლობა მიიღო.

< , = , > – მრავალწერტილი შეცვალე ერთ-ერთი ნიშნით ისე, რომ სწორი ტოლობა ან უტოლობა მიიღო.

ერთი „ზედმეტია“ – უნდა ამოიცნო ნიშანი, რომელიც ჩამოთვლილი საგნები-დან ყველას აქვს ერთის – „ზედმეტის“ – გარდა. სხვადას-ხვა ნიშნის მიხედვით სხვადასხვა საგანი შეიძლება აღმოჩნდეს ზედმეტი. განიხილე შესაძლო შემთხვევები.



ანო



ვანო



გიგო

I თავი. რიცხვები 1-დან 1000-მდე

§1. გაიმეორე ნასწავლი, გაიღრმავე ცოდნა

გოისაზრე!

1. 1) ნაიკითხე რიცხვები:

173, 71, 700, 547, 777, 370, 770, 707;

2) რას გვიჩვენებს 7 და 0 ციფრები თითოეულ რიცხვში?

3) დაასახელე ყველა ციფრის რიცხვითი მნიშვნელობა თითოეულ რიცხვში.

2. ჩანს ციფრებით შემდეგი რიცხვები:

- | | |
|-----------------------|------------------------|
| ა) 5 ას. 7 ათ. 3 ერთ; | ბ) 9 ას. 9 ათ. 9 ერთ.; |
| 3 ათ. 5 ერთ.; | 6 ას. 6 ერთ.; |
| 2 ას. 9 ერთ.; | 7 ას.; |
| 90 ათ.. | 137 ერთ. |

3. დაწერე უდიდესი და უმცირესი სამნიშნა რიცხვები, რომლებშიც ციფრები არ მეორდება.

4. ჩანს გამოტოვებული რიცხვები ისე, რომ მომდევნო რიცხვთა სამეულები მიიღო:

- | | | |
|------------------|------------------|------------------|
| ა) ..., ..., 158 | ბ) 553, ..., ... | გ) ..., 600, ... |
| 100, ..., ... | ..., ..., 999 | ..., ..., 1000 |


5. გამოიანგარიშე:

- | | |
|---------------------|----------------------|
| ა) $350 + 200 + 50$ | ბ) $400 + 250 - 120$ |
| $600 + 150 - 20$ | $600 - 50 - 250$ |
| $900 - 300 - 60$ | $700 - 320 + 90$ |

6. ა) $520 + \square = 1000$ ბ) $\square + 600 = 850$
 $300 + \square = 750$ $\square + 455 = 500$
 $295 + \square = 500$ $\square + 725 = 1000$

7. იპოვე გამოსახულების მნიშვნელობა:

- | | | |
|--------------------|--------------------|--------------------|
| ა) $8 \cdot 7 + 2$ | ბ) $9 - 4 \cdot 2$ | გ) $5 \cdot 3 + 8$ |
| $8 \cdot (7 + 2)$ | $(9 - 4) \cdot 2$ | $5 \cdot (3 + 8)$ |
| $8 + 7 \cdot 2$ | $9 \cdot 4 - 2$ | $5 + 3 \cdot 8$ |
| $(8 + 7) \cdot 2$ | $9 \cdot (4 - 2)$ | $(5 + 3) \cdot 8$ |



იპოვე ფურცელზე დაწერილი რიცხვის ციფრთა ჯამი. რამდენი ისეთი ორნიშნა რიცხვი არსებობს, რომლის ციფრთა ჯამია 10?

მოისაზრე!

+, -, ·, :

$$5 \cdot 5 \cdot 5 = 5$$

$$5 \cdot 5 \cdot 5 = 10$$

$$5 \cdot 5 \cdot 5 = 15$$

$$5 \cdot 5 \cdot 5 = 20$$

$$5 \cdot 5 \cdot 5 = 25$$

$$5 \cdot 5 \cdot 5 = 30$$

$$5 \cdot 5 \cdot 5 = 35$$

შეგიძლია გამოიყენო ფრჩხილები

8. 1) წაიკითხე რიცხვები:

33, 172, 5, 10, 123, 9, 18, 20, 300, 503, 111.

2) რამდენი ერთეულია თითოეულ რიცხვში?

რამდენი ათეულია? რამდენი ასეულია?

3) დაასახელე თითოეული რიცხვის წინა და მომდევნო რიცხვები;

4) დააღაგე რიცხვები ზრდის მიხედვით;

5) არაბული ციფრებიდან რომელი არ არის გამოყენებული მოცემული რიცხვების ჩასაწერად?

ამ ციფრებით ჩაწერე ყველა შესაძლო სამნიშნა რიცხვი;

6) დააჯგუფე მოცემული რიცხვები რაიმე ნიშნის მიხედვით (დავალება შეასრულე რამდენიმე ხერხით);

7) ანომ, ვანომ და გიგომ მე-6 დავალება ასე შეასრულეს:



ა) 5, 9 33, 10, 18, 20 172, 123, 300, 503, 111

ბ) 33, 5, 123, 9, 503, 111 172, 10, 18, 20, 300



ა) 10, 20, 300 33, 172, 5, 123, 9, 18, 503, 111

ბ) 33, 111 172, 5, 10, 123, 9, 18, 20, 300, 503



10, 20, 300, 503 33, 172, 5, 123, 9, 18, 111

რა ნიშნის მიხედვითაა შესრულებული თითოეული დაჯგუფება?

რომელს ემთხვევა შენი პასუხები?

ხომ არ შეგირჩევია დაჯგუფებაში სხვა ნიშანი?

9. იპოვე გამოსახულების მნიშვნელობა:

ა) $360 : 6 + 90$	ბ) $700 + 150 \cdot 2$	გ) $150 - 100 : 5$
$70 \cdot 5 - 90$	$800 : 4 + 160$	$(150 - 100) \cdot 5$
$150 + 70 \cdot 3$	$600 - 450 : 5$	$(250 + 700) : 10$
$(150 - 70) : 4$	$450 - 50 \cdot 5$	$250 + 700 : 10$

10. მართვულხედის ერთი გვერდის სიგრძეა 10 სმ, ორი გვერდის სიგრძეთა ჯამი კი – 24 სმ. დახაზე ასეთი მართვულხედი და იპოვე მისი პერიმეტრი

რამდენი ამონახსნი აქვს ამოცანას?

11. დაწერე ხუთი სამნიშნა რიცხვი და წარმოადგინე ისინი სათან-რიგო შესაკრებთა ჯამის სახით.

12. 1) დაწერე რიცხვი, რომელშიც

- ა) პირველი თანრიგის სამი, მეორე თანრიგის ხუთი და მესამე თანრიგის ცხრა ერთეულია;
 - ბ) ასეულების თანრიგის შვიდი და ერთეულების თანრიგის ორი ერთეულია;
 - გ) პირველი თანრიგის რვა და მეორე თანრიგის სამი ერთეულია;
- 2) დაწერილი რიცხვები წარმოადგინე სათანრიგო შესაკრებთა ჯამის სახით.

13. დაწერე ჯამის მნიშვნელობა გამოუანგარიშებლად:

- | | | |
|-------------|-------------------|--------------|
| ა) $70 + 7$ | ბ) $400 + 40 + 4$ | გ) $900 + 9$ |
| $600 + 50$ | $500 + 70 + 3$ | $900 + 10$ |

14. მოცემული რიცხვებიდან ამონერე 100-ზე მეტი ყველა რიცხვი და დაალაგე ისინი კლების მიხედვით:

77, 218, 550, 100, 99, 101, 777, 699, 8, 28.

15. რამდენი ათეულია

- ა) 98-ში; ბ) 127-ში; გ) 305-ში; დ) 700-ში?

16. რამდენჯერ მეტია

- ა) უდიდესი ორნიშნა რიცხვი უდიდეს ერთნიშნა რიცხვზე;
- ბ) 9 ათეული 9 ერთეულზე;
- გ) უმცირესი სამნიშნა რიცხვი უმცირეს ორნიშნა რიცხვზე;
- დ) 7 ასეული 7 ერთეულზე?

17. რამდენით ნაკლებია



- ა) 1 ათეული 1 ასეულზე;
- ბ) უმცირესი ერთნიშნა რიცხვი უდიდეს ორნიშნა რიცხვზე;
- გ) 14 ერთეული 14 ათეულზე;
- დ) უდიდესი ორნიშნა რიცხვი უმცირეს სამნიშნა რიცხვზე?

18. დახაზე მართულხედი, რომლის გვერდების სიგრძე იქნება 7 სმ და 5 სმ. იპოვე მისი პერიმეტრი.

19. იპოვე რიცხვი, რომელიც

- | | |
|-----------------------|-----------------------|
| ა) 9-ზე მეტია 7-ჯერ; | ბ) 13-ზე მეტია 5-ჯერ; |
| 8-ზე მეტია 9-ჯერ; | 23-ზე მეტია 12-ით; |
| 56-ზე ნაკლებია 8-ჯერ; | 55-ზე ნაკლებია 5-ჯერ; |
| 36-ზე ნაკლებია 4-ჯერ; | 77-ზე ნაკლებია 7-ით. |

მოისაზრე!




ამოიცანი რიცხვის შერჩევის წესი და ჩანერე გამოტოვებული რიცხვები.

მოისაზრე!

$$\begin{aligned}
 9 \cdot * &= *4 \\
 * \cdot 7 &= 5* \\
 8 \cdot * &= 7* \\
 * \cdot 6 &= *6 \\
 7 \cdot * &= *3 \\
 * \cdot 4 &= *4
 \end{aligned}$$

20. ა) 8 რამდენჯერ ნაკლებია 72-ზე?
 9 რამდენჯერ ნაკლებია 135-ზე?
 213 რამდენით ნაკლებია 371-ზე?
 5 რამდენჯერ ნაკლებია 80-ზე?
- ბ) 63 რამდენით მეტია 7-ზე?
 123 რამდენით მეტია 78-ზე?
 60 რამდენჯერ მეტია 12-ზე?
 77 რამდენჯერ მეტია 11-ზე?
21. დაწერე ორი რიცხვის ჯამი, რომლის მნიშვნელობაა
 ა) 97; ბ) 294; გ) 0; დ) 1; ე) 768.
22. დაწერე ორი რიცხვის სხვაობა, რომლის მნიშვნელობაა
 ა) 51; ბ) 100; გ) 0; დ) 1; ე) 999.
23. დაწერე ორი რიცხვის ნამრავლი, რომლის მნიშვნელობაა
 ა) 144; ბ) 23; გ) 24; დ) 0; ე) 1.
24. დაწერე ორი რიცხვის განაყოფი, რომლის მნიშვნელობაა
 ა) 17; ბ) 100; გ) 0; დ) 1; ე) 11.
25. ამოხსენი ამოცანები და შეადარე ერთმანეთს:
- ა) სათესლედ შეინახეს 5 ორმოცუკილოგრამიანი ტომარა ხორბალი და 3 სამოცუკილოგრამიანი ტომარა სიმინდი. სულ რამდენი კილოგრამი მარცვლეული შეუნახავთ სათესლედ?
- ბ) სათესლედ შეინახეს 5 ორმოცუკილოგრამიანი ტომარა ხორბალი და 3 ოთხმოცუკილოგრამიანი ტომარა ქერი, რამდენი კილოგრამით მეტი ქერი შეუნახავთ სათესლედ?
26. ა) $\square \cdot 7 = 28$ ბ) $\square : 9 = 7$ გ) $42 : \square = 6$
 $8 \cdot \square = 48$ $64 : \square = 8$ $\square : 9 = 4$
 $\square \cdot 3 = 18$ $\square : 6 = 6$ $4 \cdot \square = 32$
 $32 : \square = 8$ $9 \cdot \square = 54$ $\square \cdot 4 = 36$
27. ამოხსენი განტოლება და შეამოწმე:
- ა) $x : 7 = 13$ ბ) $x + 53 = 100$ გ) $x - 210 = 120$
 $120 : y = 5$ $200 - y = 127$ $550 + y = 900$
28. გამოიანგარიშე ქვეშმიწერით:
- ა) $376 + 457$ ბ) $374 + 498$ გ) $836 - 518$
 $992 - 633$ $744 - 606$ $274 + 726$

29. შეასრულე საჭირო გაზომვა და იპოვე ABCD მართკუთხედის პერიმეტრი.



მოისაზრე!

30. $\langle, =, \rangle$

a) $36 : 6 \dots 36 : 4$	b) $0 \cdot 9 \dots 0 : 9$	c) $20 : 5 \dots 25 : 5$
$6 \cdot 4 \dots 7 \cdot 4$	$7 : 1 \dots 7 \cdot 1$	$6 \cdot 0 \dots 6 \cdot 7$
$45 : 5 \dots 45 : 9$	$9 + 0 \dots 9 - 0$	$8 \cdot 1 \dots 8 : 1$
$3 \cdot 8 \dots 4 \cdot 8$	$7 + 1 \dots 7 - 1$	$3 \cdot 0 \dots 3 : 1$

90		70
	100	
130		

31. ჩანს რე გამოსახულების სახით და იპოვე მისი მნიშვნელობა:

- a) 127-ისა და 55-ის ჯამი;
 218-ისა და 76-ის სხვაობა;
 18-ისა და 5-ის ნამრავლი;
 84-ის 7-ზე განაყოფი;
 b) 500-ისა და 213-ის სხვაობა;
 378-ისა და 227-ის ჯამი;
 108-ის 9-ზე განაყოფი;
 19-ის 6-ზე ნამრავლი.

24		22
	25	
		26

32. ჩანს რე გამოსახულების სახით და იპოვე მისი მნიშვნელობა:,
 თუ $a = 48$, $b = 4$, $c = 3$

- a) a -ს განაყოფი b -ზე;
 b) a -სა და c -ს სხვაობა;
 c) a -სა და b -ს ჯამი გაყოფილი b -ზე;
 d) b -სა და c -ს ნამრავლი შემცირებული c -თი;
 e) a -სა და b -ს ნამრავლი გაყოფილი c -ზე;
 f) a -ს განაყოფი b -ზე გადიდებული c -ჯერ;
 g) a -სა და c -ს ნამრავლი გადიდებული a -თი.

33. დახაზე მართკუთხედი, რომლის მოპირდაპირე გვერდების ჯამი იქნება 18 სმ და 12 სმ.

34. რიცხვთა მოცემული მწკრივიდან ამონტერე ყველა ის რიცხვი,
 რომლებშიც 5-ზე მეტი ათეულია:

55, 105, 260, 50, 97, 137, 406, 49, 209, 89.

შეავსე „ჯადოსნური კვადრატი“ ისე,
 რომ ყველა სტრიქონში, სვეტსა და
 დიაგონალზე რიცხვების ჯამის მნიშვნელობა ერთი და
 იგივე იყოს.

მოისაზრე!

$$\begin{array}{r} + * 7 * \\ 7 * 7 \\ \hline 9 0 0 \end{array}$$



$$\begin{array}{r} - 9 * 9 \\ - * 9 * \\ \hline 5 5 5 \end{array}$$

$$\begin{array}{r} + 4 * 6 \\ 5 4 * \\ \hline * * 0 0 \end{array}$$

$$\begin{array}{r} - * 0 0 * \\ - * 8 8 \\ \hline 1 * 2 \end{array}$$

35. რიცხვთა მოცემული მწკრივიდან ამონერე ყველა ის რიცხვი, რომელიც 7-ზე ნაკლები ათეულია:
- 169, 77, 212, 35, 69, 91, 129, 70, 127, 100.

36. შეავსე ცხრილი:

a	21	49	63	28	56	35
a : 7						
a + 7						

b	8	15	9	12	10	11
b · 8						
b - 8						

37. იპოვე გამოსახულების მნიშვნელობა:

a) $250 - 86 : 2 + 2 \cdot 9$	b) $75 : (73 - 68) + 25 \cdot 3$
$19 \cdot 2 + 45 : (54 - 45)$	$90 - 64 : 4 + 16 \cdot 3$
$27 + 12 \cdot (32 - 24) : 3$	$60 : 4 + 14 \cdot (81 - 38 \cdot 2)$
$8 \cdot 9 + (14 \cdot 4 - 6 \cdot 8) : 2$	$22 \cdot 4 - (24 \cdot 2 + 26)$

38. თუ $x = 6$, მაშინ

a) $6 \cdot x = \square$	b) $x \cdot 7 = \square$	c) $x \cdot 0 = \square$
$48 : x = \square$	$71 - x = \square$	$0 + x = \square$
$32 + x = \square$	$90 : x = \square$	$x - 0 = \square$
$64 - x = \square$	$x + x = \square$	$x - x = \square$

39. დაწერე ორი ერთნიშნა რიცხვის ყველა ჯამი, რომელთა მნიშვნელობა იქნება

a) 15; b) 16; c) 7; d) 1.

40. დაწერე ორი ერთნიშნა რიცხვის ყველა სხვაობა, რომელთა მნიშვნელობა იქნება

a) 5; b) 1; c) 9; d) 0.

41. დაწერე ორი ერთნიშნა რიცხვის ყველა ნამრავლი, რომელთა მნიშვნელობაა

a) 12; b) 9; c) 0; d) 8.

42. დაწერე ყველა რიცხვი, რომელთა

- a) 2-ზე განაყოფი ერთნიშნა რიცხვია;
 b) 2-ზე ნამრავლი ერთნიშნა რიცხვია;
 c) 5-ზე განაყოფი ერთნიშნა რიცხვია;
 d) 3-ზე ნამრავლი ერთნიშნა რიცხვია.

43. ამოხსენი და შეადარე ერთმანეთს ამოცანები:

- ა) ცურვის სექციაში 15 გოგონა და 2-ჯერ მეტი ბიჭია გაერთიანებული. გოგონებზე რამდენით მეტი ბიჭია სექციაში?
 ბ) ბებიას 9 ინდაური და 18-ით მეტი ქათამი ჰყავს. ქათმებზე რამდენჯერ ნაკლები ინდაური ჰყოლია ბებიას?

მოისაზრე!

44. $(+, -, \cdot, :)$

ა) $8 \cdot 5 = 8 \cdot 6 \dots 8$	ბ) $6 \cdot 5 = 6 \dots 1 \dots 24$
$9 \cdot 4 = 9 \dots 3 + 9$	$8 \cdot 8 = 8 \dots 7 \dots 8$
$7 \cdot 7 = 7 \dots 0 \dots 49$	$9 \cdot 9 = 9 \dots 5 \dots 36$
$5 \cdot 6 = 5 \dots 7 \dots 5$	$4 \cdot 5 = 5 \dots 5 \dots 5$

45. $(<, =, >)$

ა) $5 + 5 + 5 + 5 \dots 5 \cdot 4$	ბ) $9 \cdot 9 - 9 \dots 9 \cdot 8$
$7 + 7 + 7 + 7 + 5 \dots 7 \cdot 5$	$8 + 8 + 8 + 9 \dots 8 \cdot 5$
$3 + 3 + 3 + 9 \dots 3 \cdot 5$	$7 \cdot 8 \dots 7 \cdot 7 + 7$
$2 + 2 + 2 + 2 \dots 4 + 4$	$6 \cdot 6 + 7 \dots 6 \cdot 7$


ა) $6 + 6 + 6 + \square = 6 \cdot 4$	ბ) $7 + 7 + 7 + 7 - \square = 7 \cdot 4$
$3 + 3 + 3 + \square = 3 \cdot 6$	$2 + 2 + 2 + 2 + \square = 2 \cdot 8$
$5 + 5 + 5 + 5 + 5 = 5 \cdot \square$	$8 + 8 + 8 + 8 - \square = 8 \cdot 2$
$9 + 9 + 9 + \square = 9 \cdot 3$	$4 + 4 + 4 + 4 + \square = 4 \cdot 6$

47. რომელი უფრო გრძელი იქნება:

- ა) მონაკვეთის ერთი მესამედი თუ ერთი მეოთხედი?
 ბ) ერთი მეშვიდედი თუ ერთი მერვედი?
 გ) ნახევარი თუ ერთი მეორედი?
 დ) ნახევარი თუ ერთი მეოთხედი?

48. იპოვე:

- ა) 63-ის ერთი მეშვიდედი ნაწილი;
 ბ) 72-ის ერთი მეცხრედი ნაწილი;
 გ) 56-ის ერთი მეოთხედი ნაწილი;
 დ) 54-ის ერთი მეექვსედი ნაწილი;
 ე) 93-ის ერთი მესამედი ნაწილი;
 ვ) 8-ის ერთი მეოთხედი ნაწილი.



რამდენი სამკუთხედია სურათზე?


მოისაზრე!

+ , - , · , :

$$\begin{aligned}5 & 5 \cdot 5 = 50 \\5 & 5 \cdot 5 \cdot 5 = 50 \\5 & 5 \cdot 5 \cdot 5 \cdot 5 = 50 \\5 & 5 \cdot 5 \cdot 5 \cdot 5 \cdot 5 = 50 \\5 & 5 \cdot 5 \cdot 5 \cdot 5 \cdot 5 \cdot 5 = 50\end{aligned}$$



შეგიძლია გამოიყენო ფრჩხილები



50. 1) წაიკითხე ამოცანები:

- წიგნი 25 ლარი ღირს, ურნალის ფასი კი წიგნის ფასის ერთი მეხუთედია. რა ღირს ურნალი?
 - ყუთში 12 კგ ყურძენია, კალათში – ამის ერთი მესამედი. სულ რამდენი კილოგრამი ყურძენი ყოფილა ყუთსა და კალათში?
 - რომელი ამოცანაა მარტივი და რომელი — შედგენილი?
 - რამდენი მოქმედებით ამოიხსნება შედგენილი ამოცანა?
 - თითოეული ამოცანისთვის შეადგინე გამოსახულება და იპოვე მისი მნიშვნელობა.
- 5) მარტივ ამოცანაში შეცვალე კითხვა ისე, რომ იგი ამოიხსნას გამოსახულებით:
- $25 - 25 : 5;$
 - $(25 : 5) \cdot 2.$

51. a) $\square \cdot 7 = 21$ b) $45 : \square = 5$ c) $24 : \square = 8$
 $9 \cdot \square = 27$ $\square : 7 = 8$ $\square \cdot 9 = 63$
 $6 \cdot \square = 36$ $\square : 8 = 6$ $6 \cdot \square = 54$
 $\square \cdot 8 = 64$ $36 : \square = 6$ $\square : 7 = 7$

52. $+, \cdot$

- $(60 + 5) \cdot 4 = 60 \cdot 4 \dots 5 \cdot 4$
- $(30 + 4) \cdot 3 = 30 \dots 3 + 4 \dots 3$
- $(40 + 6) \cdot 5 = 40 \cdot 5 \dots 6 \dots 5$
- $(70 + 3) \cdot 2 = 70 \dots 2 \dots 3 \dots 2$

53. გამოიანგარიშე ზეპირი ახსნა-განმარტებით:

- $13 \cdot 5$
- $25 \cdot 6$
- $72 \cdot 3$
- $36 \cdot 7$
- $85 \cdot 4$
- $69 \cdot 3$

54. გამოიანგარიშე ადვილი ხერხით:

a) $27 \cdot 4 + 13 \cdot 4$	b) $5 \cdot 50 + 4 \cdot 50$	g) $23 \cdot 9 + 7 \cdot 9$
$9 \cdot 5 + 7 \cdot 5$	$(170 - 50) : 6$	$6 \cdot 6 + 7 \cdot 6$
$30 \cdot 8 + 70 \cdot 8$	$(150 + 90) : 10$	$(18 + 27) : 9$
$6 \cdot 8 + 4 \cdot 8$	$(290 - 50) : 8$	$(70 + 80) : 5$

მოისაზრე!

55. მოცემული რიცხვებით შეადგინე ოთხი სწორი ტოლობა:

a) 12, 3, 4	g) 3, 9, 27
ბ) 12, 3, 9	დ) 13, 14, 27

56. მოცემული ორი რიცხვისთვის შეარჩიე ისეთი მესამე რიცხვი, რომ მიღებული სამეულით შესაძლებელი იყოს სწორი ტოლობების შედგენა. დაწერე ოთხი სწორი ტოლობა.

ა) 12, 4, □ ბ) 10, 2, □ გ) 3, 18, □
თითოეული შემთხვევისთვის ანომ ორი ასეთი რიცხვი იპოვა,
ვანომ — სამი. შენ რამდენს იპოვი?

□ + □ = □□
□ + □ = □
□ + □ = □



57. მართკუთხედის ერთი გვერდის სიგრძეა 12 სმ, სამი გვერდისა კი — 26 სმ. დახაზე ეს მართკუთხედი და იპოვე მისი პერიმეტრი.

რამდენი ამონახსნი აქვს ამოცანას?



ციფრები 0-დან 9-ის ჩათვლით, ისე გაანაწილე უჯრედებში, რომ სამი სწორი ტოლობა მიიღო.

მოისაზრე!



როგორ ჩაასხამ
ონკანიდან ქვაბში 4
ლ წყალს, თუ გაქვს
სამლიტრიანი და
ხუთლიტრიანი ორი
ქილა.

§2. ერთნიშნა რიცხვზე გამრავლება ქვეშმინერით

58.

$\begin{array}{r} \times 43 \\ \hline 2 \\ 4 \text{ ათ.} \cdot 2 = 80 \rightarrow + 80 \\ 3 \text{ ერთ.} \cdot 2 = 6 \rightarrow \underline{\quad 6} \\ \hline 86 \end{array}$	$\begin{array}{r} \times 143 \\ \hline 2 \\ 1 \text{ ას.} \cdot 2 = 200 \rightarrow + 200 \\ 4 \text{ ათ.} \cdot 2 = 80 \rightarrow + 80 \\ 3 \text{ ერთ.} \cdot 2 = 6 \rightarrow \underline{\quad 6} \\ \hline 286 \end{array}$
--	---

1) იპოვე $43 \cdot 2$ გამოსახულების მნიშვნელობა (გამოთვლები ჩაწერე სრულად ზეპირი ახსნა-განმარტებით)

$$43 \cdot 2 = (40 + 3) \cdot 2 = 40 \cdot 2 + \dots$$

2) კარგად გაიაზრე ჩარჩოში მოცემული მარცხენა ჩანაწერი და ახსენი, როგორ შეიძლება ჩაიწეროს ქვეშმინერით ორნიშნა რიცხვის ერთნიშნაზე გამრავლება (უპასუხე კითხვებს: როგორ არის ჩაწერილი ნამრავლი? რა არის შეცვლილი "x" ნიშნით? რა ნიშნითაა შეცვლილი ტოლობის (=) ნიშანი? როგორ მიიღება პირველი ხაზის ქვემოთ პირველ სტრიქონში დაწერილი რიცხვი? მეორე სტრიქონში დაწერილი რიცხვი? მეორე ხაზის ქვემოთ დაწერილი რიცხვი?)

59. გაამრავლე ქვეშმინერით (ზეპირი ახსნა-განმარტებით):

$$42 \cdot 2 \quad 23 \cdot 3 \quad 21 \cdot 4 \quad 24 \cdot 2 \quad 32 \cdot 3$$

60. 1) იპოვე $143 \cdot 2$ გამოსახულების მნიშვნელობა (გამოთვლები ჩაწერე სრულად, ზეპირი ახსნა-განმარტებით)

$$143 \cdot 2 = (100 + 40 + 3) \cdot 2 = 100 \cdot 2 + \dots$$

2) კარგად გაიაზრე ჩარჩოში მოცემული მარჯვენა ჩანაწერი და ახსენი, როგორ შეიძლება ჩაიწეროს ქვეშმინერით სამნიშნა რიცხვის ერთნიშნაზე გამრავლება (უპასუხე კითხვებს: როგორ არის ჩაწერილი ნამრავლი? როგორ მიიღება პირველი ხაზის ქვემოთ თითოეულ სტრიქონში დაწერილი რიცხვი? მეორე ხაზის ქვემოთ დაწერილი რიცხვი?)

61. გაამრავლე ქვეშმინერით (ზეპირი ახსნა-განმარტებით):

$$323 \cdot 3 \quad 112 \cdot 4 \quad 243 \cdot 2 \quad 121 \cdot 3 \quad 324 \cdot 2$$

62. დაწერე ტოლობა \square -ის გამოყენებით და იპოვე უცნობი რიცხვი, თუ მას

- ა) მიუმატეს 138 და მიიღეს 716;
- ბ) გამოაკლეს 93 და დარჩათ 391;
- გ) მიუმატეს 319 და მიიღეს 721;
- დ) გამოაკლეს 213 და დარჩათ 318.

63. გამოიანგარიშე:

$7 \cdot 3 + 4$	$18 : 6 + 3$	$24 - 8 : 4$	$4 \cdot 3 + 8$
$7 \cdot (3 + 4)$	$18 : (6 + 3)$	$(24 - 8) : 4$	$4 \cdot (3 + 8)$
$7 + 3 \cdot 4$	$18 + 6 : 3$	$24 : (8 + 4)$	$4 + 3 \cdot 8$
$(7 + 3) \cdot 4$	$(18 + 6) : 3$	$24 : (8 - 4)$	$(4 + 3) \cdot 8$

64. ამოხსენი ამოცანები და შეადარე ერთმანეთს:

- ა) ერთი ყუთი მანდარინი 12 კგ-ს იწონის. რამდენ კილოგრამს აიწონის 6 ასეთივე ყუთი მანდარინი?
- ბ) 7 ერთნაირი ყუთი ყურძენი 105 კგ-ს იწონის. რამდენ კილოგრამს აიწონის ერთი ყუთი ყურძენი?

65. ამოიცანი შესასრულებელი მოქმედება და შეავსე ცხრილი:

?	4	2	3	6
5				30
7		14		
6				

?	6	8	9	4
7		15		
9				
8				12

- 1) დახაზე AB მონაკვეთი, რომლის სიგრძე იქნება 12 სმ;
- 2) AB მონაკვეთზე მონიშნე C წერტილი ისე, რომ AC მონაკვეთის სიგრძე იყოს 7 სმ;
- 3) დაასახელე AB მონაკვეთის ნაწილები;
- 4) რა მოქმედებით შეიძლება გამოიანგარიშო CB მონაკვეთის სიგრძე? რატომ?
- 5) გამოიანგარიშე CB მონაკვეთის სიგრძე;
- 6) პასუხი შეამოწმე გაზომვით.

მოისაზრე!

პირველი
ვარიანტი:

2

4

6

5

3

ვინ უფრო მეტ სწორ ტოლობას შეადგენს მოცემული რიცხვებით.

მეორე
ვარიანტი:

10



15

20

25

ვინ უფრო უფრო სწრაფად შეადგენს მოცემული რიცხვებით სწორ ტოლობას.

მოისაზრე!



ამოიცანი რიცხვების შერჩევის წესი და ჩანაწერე გამოტოვებული რიცხვები.

67. 1) გამოიანგარიშე ქვეშმინერით: $41 \cdot 2$ და $312 \cdot 3$
ანომ, ვანომ და გიგომ ეს დავალება ასე შეასრულეს:



$$\begin{array}{r} \times 41 \\ 2 \\ \hline + 80 \\ \hline 82 \end{array}$$

$$\begin{array}{r} \times 312 \\ 3 \\ \hline 900 \\ + 30 \\ \hline 6 \\ \hline 936 \end{array}$$

ვანომ გამრავლება ისევე ჩაწერა, როგორც ანომ, მაგრამ შემდეგ ჩათვალა, რომ შეიძლებოდა ნულები არც დაეწერა და ისინი გადახაზა:



$$\begin{array}{r} \times 41 \\ 2 \\ \hline + 80 \\ \hline 82 \end{array}$$

$$\begin{array}{r} \times 312 \\ 3 \\ \hline 900 \\ + 30 \\ \hline 6 \\ \hline 936 \end{array}$$

შეიცვალა თუ არა ამით შედეგი? რატომ?

გიგომ ვანოს ჩანაწერი შეამცირა და გამრავლება მოკლედ ასე ჩაწერა:



$$\begin{array}{r} \times 41 \\ 2 \\ \hline 82 \end{array}$$

$$\begin{array}{r} \times 312 \\ 3 \\ \hline 936 \end{array}$$

როგორ მსჯელობდა გიგო?

2) შენ როგორ შეასრულე დავალება?

ანოს, ვანოს და გიგოს ჩანაწერებიდან რომელი უფრო მოგნონს? რატომ?

68. გამოიანგარიშე ქვეშმინერით და ჩანერე მოკლედ:

$$32 \cdot 2, \quad 21 \cdot 3, \quad 233 \cdot 3, \quad 212 \cdot 4, \quad 423 \cdot 2.$$

69. გამოიანგარიშე ქვეშმინერით:

ა) $324 + 225$	ბ) $562 + 338$	გ) $816 - 341$
$958 - 333$	$700 - 129$	$429 + 571$

70. იპოვე ნამრავლი ადგილი ხერხით:

$$9 \cdot 2 \cdot 5 = \square$$

$$7 \cdot 2 \cdot 3 = \square$$

$$3 \cdot 4 \cdot 5 = \square$$

$$2 \cdot 7 \cdot 5 = \square$$

$$5 \cdot 5 \cdot 4 = \square$$

$$7 \cdot 8 \cdot 0 = \square$$

$$3 \cdot 5 \cdot 8 = \square$$

$$6 \cdot 0 \cdot 7 = \square$$

$$3 \cdot 8 \cdot 3 = \square$$

$$4 \cdot 3 \cdot 3 = \square$$

$$10 \cdot 9 \cdot 7 = \square$$

$$2 \cdot 8 \cdot 5 = \square$$

მოისაზრე!

71. 1) წაიკითხე ამოცანები. მარტივია თუ შედგენილი თითოეული მათგანი?

ა) ფერადი ფანქრების კოლოფში 12 ფანქარია. რამდენი ფანქარი იქნება 3 ასეთ კოლოფში?

ბ) ფერადი ფანქრების 5 ერთნაირ კოლოფში 60 ფანქარია. რამდენი ფანქარი ყოფილა თითოეულ კოლოფში?

გ) ფერადი ფანქრების 5 ერთნაირ კოლოფში 60 ფანქარია. რამდენი ფანქარი იქნება 3 ასეთ კოლოფში?

2) შედგენილი ამოცანა დაშალე მარტივ ამოცანებად და შეადარე ისინი (ა) და (ბ) ამოცანებს. დაწერე ამოცანის ამოხსნა. (თუ დავალების შესრულება გაგიჭირდა, შეადგინე ამოცანის ანალიზის სქემა).





3) კარგად გაიაზრე შესრულებული დავალება და ამოხსენი ამოცანა:

სამ ერთნაირ ბუშტში 45 თეთრი გადაიხადეს. რამდენი თეთრი უნდა გადაიხადონ 7 ასეთ ბუშტში?

72. ამოხსენი ამოცანა:

ცხრა ერთნაირ საახალწლო საჩუქარში 45 შოკოლადის კანფეტი ჩადეს. უნდა დაამზადონ კიდევ 7 ასეთი საჩუქარი. რამდენი კანფეტი დასჭირდებათ ამისთვის?

73. სქემატური ნახაზის მიხედვით იპოვე AB მონაკვეთის სიგრძე:



$$\begin{array}{r} + 5 * 0 \\ * 5 * \\ \hline 7 5 0 \end{array}$$

$$\begin{array}{r} - 9 * 0 \\ * 7 * \\ \hline 1 2 3 \end{array}$$

$$\begin{array}{r} + 5 * 5 \\ * 5 * \\ \hline * * 0 0 \end{array}$$

$$\begin{array}{r} * 0 0 * \\ * 9 5 \\ \hline 7 * 5 \end{array}$$

74. ა) $\boxed{100} \xrightarrow{+170} \bigcirc \xrightarrow{:9} \bigcirc \xrightarrow{+180} \bigcirc \xrightarrow{:70} \bigcirc \xrightarrow{\cdot 25} \boxed{?}$

ბ) $\boxed{?} \xrightarrow{:30} \bigcirc \xrightarrow{\cdot 20} \bigcirc \xrightarrow{-260} \bigcirc \xrightarrow{\cdot 5} \bigcirc \xrightarrow{+250} \boxed{450}$

მოისაზრე!

+, -, :, :

$$3 \cdot 3 \cdot 3 \cdot 3 = 10$$

$$3 \cdot 3 \cdot 3 \cdot 3 \cdot 3 = 100$$

$$3 \cdot 3 \cdot 3 \cdot 3 \cdot 3 \cdot 3 = 1000$$



შეგიძლია გამოიყენო ფრჩხილები

75. 1) გამოიანგარიშე ქვეშმიწერით და ჩანერე მოკლედ. დავალება შეასრულე ორი გზით:
- გამრავლება დაიწყე უმაღლესი თანრიგიდან;
 - გამრავლება დაიწყე პირველი თანრიგიდან

$$36 \cdot 2 \quad 275 \cdot 3$$

მითითება: გაიხსენე, როგორ იქცევი ქვეშმიწერით შეკრებისას, როცა რომელიმე თანრიგში ჯამის მნიშვნელობა 9-ზე მეტია.

- 2) გამრავლების რომელი გზა არის უფრო მოსახერხებელი? რატომ?

დაიმახსოვრე!

ქვეშმიწერით გამრავლება უმჯობესია ერთეულების თანრიგიდან დაიწყო.

76. 1) გამოიანგარიშე ქვეშმიწერით (ზეპირი ახსნა-განმარტებით):
253 · 3

- 2) შენი მსჯელობა შეადარე ანოსას.



$$253 \text{ რომ გავამრავლოთ } 3\text{-ზე}$$

1. ჩავწეროთ ასე:

$$\begin{array}{r} \times 253 \\ \hline 3 \end{array}$$

2. გამრავლება დავიწყოთ ერთეულების თანრიგიდან. სათანრიგო ერთეულების რიცხვი გავამრავლოთ 3-ზე:

$$3 \text{ ერთ.} \cdot 3 = 9 \text{ ერთ.}$$

9 ჩავწეროთ ერთეულების თანრიგში ხაზის ქვეშ;

3. სათანრიგო ათეულების რიცხვი გავამრავლოთ 3-ზე:

$$5 \text{ ათ.} \cdot 3 = 15 \text{ ათ.} = 1 \text{ ას.} 5 \text{ ათ.}$$

5 ჩავწეროთ ათეულების თანრიგში, 1 ას. კი გადავიტანოთ ასეულების თანრიგში;

4. სათანრიგო ასეულების რიცხვი გავამრავლოთ 3-ზე:

$$2 \text{ ას.} \cdot 3 = 6 \text{ ას.}$$

ასეულების მიღებულ რიცხვს მივუმატოთ ათეულების თანრიგიდან „გადმოტანილი“ 1 ასეული:

$$6 \text{ ას.} + 1 \text{ ას.} = 7 \text{ ას.}$$

- 7 ჩავწეროთ ასეულების თანრიგში.

მივიღებთ:

$$\begin{array}{r} \times 253 \\ \hline 3 \\ \hline 759 \end{array}$$

მოკლე ჩანაწერი მართლაც კარგია: მიუხედავად იმისა, რომ მსჯელობა შედარებით ვრცელია, გამრავლების წესი ადვილად დასამახსოვრებელია, რადგან ყოველ საფეხურზე მოქმედებები ერთი და იგივეა.

ჯერ უნდა გავამრავლოთ პირველი თანამამრავლის ერთეულების რიცხვი, შემდეგ ათეულების, შემდეგ ასეულების. ნამრავლები ჩავწეროთ შესაბამის თანრიგებში.

თანრიგიდან თანრიგში გადატანილი რიცხვის მიმატება რომ არ დაგვავიწყდეს, იგი ისევე დავაწეროთ შესაბამის თანრიგს, როგორც შეკრებისას ვაწერდით.

მაგალითად,

$$\begin{array}{r} & \begin{matrix} 1 \\ \times \\ 253 \end{matrix} & & & \begin{matrix} 1 & 2 \\ \times \\ 136 \end{matrix} \\ & \underline{3} & & & \underline{4} \\ 759 & & & & 544 \end{array}$$

მოისაზრე!



გახსოვდეს, რომ ჯერ ვასრულებთ გამრავლებას და შემდეგ ვუმატებთ გადმოტანილ რიცხვს, ე.ო. პირველ გამრავლებაში გვექნება $2 \cdot 3 + 1$, მეორეში – $3 \cdot 4 + 2$, $1 \cdot 4 + 1$.

77. ახსენი, როგორ არის შესრულებული გამრავლება:

$$\begin{array}{r} & \begin{matrix} 1 & 4 \\ \times \\ 127 \end{matrix} & & & \begin{matrix} 4 \\ \times \\ 55 \end{matrix} & & \begin{matrix} 1 & 1 \\ \times \\ 132 \end{matrix} & & \begin{matrix} 1 \\ \times \\ 205 \end{matrix} & & \begin{matrix} 61 \\ \times \\ 4 \end{matrix} \\ & \underline{6} & & & \underline{9} & & \underline{5} & & \underline{3} & & \underline{4} \\ 762 & & & & 495 & & 660 & & 615 & & 495 \end{array}$$

$$9* + *5 = 68$$

$$*5 - 6* = 22$$

$$*4 + * = 70$$

$$*5 + ** = 25$$

78. გაამრავლე ქვეშმიწერით (ზეპირი ახსნა-განმარტებით):

$$\begin{array}{lll} 36 \cdot 8 = \square & 123 \cdot 3 = \square & 317 \cdot 2 = \square \\ 15 \cdot 9 = \square & 134 \cdot 4 = \square & 408 \cdot 2 = \square \\ 23 \cdot 3 = \square & 205 \cdot 4 = \square & 228 \cdot 3 = \square \end{array}$$

79. 1) ამოხსენი ამოცანა გამოსახულების შედგენით:


საზაფხულო კაფეში მიიტანეს 20 ბოთლი „ცივი ჩაი“, 3-ჯერ მეტი „ფანტა“ და „ფანტაზე“ 30 ბოთლით ნაკლები „კოკა-კოლა“. რამდენი „კოკა-კოლა“ მიუტანიათ კაფეში?

- 2) შეცვალე ამოცანის კითხვა ისე, რომ ამოცანა ამოიხსნას გამოსახულებით

$$\begin{array}{ll} \text{ა)} 20 + 20 \cdot 3; & \text{გ)} 20 + (20 \cdot 3 - 30); \\ \text{ბ)} 20 \cdot 3 - 20; & \text{დ)} (20 \cdot 3) : (20 \cdot 3 - 30). \end{array}$$

80. ნამრავლის მნიშვნელობაში თითოეული ციფრი აღნიშნე $*$ -ით და ჩანაწერე რამდენიმენა რიცხვი მიიღება (დახედე ნიმუშს). შენი ვარაუდი შეამონე გამოანგარიშებით.

$$\begin{array}{r} & \begin{matrix} 56 \\ \times \\ 5 \end{matrix} & & & \begin{matrix} 23 \\ \times \\ 3 \end{matrix} & & \begin{matrix} 38 \\ \times \\ 2 \end{matrix} & & \begin{matrix} 27 \\ \times \\ 9 \end{matrix} & & \begin{matrix} 19 \\ \times \\ 5 \end{matrix} & & \begin{matrix} 19 \\ \times \\ 7 \end{matrix} \\ & \underline{5} & & & \underline{3} & & \underline{2} & & \underline{9} & & \underline{5} & & \underline{7} \\ *** & & & & & & & & & & & & & \end{array}$$



ასანთის ერთი ლერის გადაადგილებით გაასწორე მცდარი ტოლობა (იპოვე ამოხსნის სამ-სამი ვარიანტი).

81. იპოვე შეცდომები და გაასწორე:

$$\begin{array}{r} \times 134 \\ 3 \\ \hline 392 \end{array}$$

$$\begin{array}{r} \times 57 \\ 5 \\ \hline 265 \end{array}$$

$$\begin{array}{r} \times 226 \\ 3 \\ \hline 678 \end{array}$$

$$\begin{array}{r} \times 69 \\ 9 \\ \hline 631 \end{array}$$

$$\begin{array}{r} \times 125 \\ 5 \\ \hline 625 \end{array}$$

82. იპოვე გამოსახულების მნიშვნელობა. დაწერე მიღებული ტოლობის შესაბამისი სამი სწორი ტოლობა:

ა) $58 \cdot 4 = \square$

ბ) $145 \cdot 6 = \square$

გ) $217 \cdot 4 = \square$

83. ამოხსენი ამოცანა:

ა) საბავშვო ბალისათვის 7 კარადა იყიდეს. რამდენ ლარს გადაიხდიდნენ სულ, თუ კარადის ფასია 135 ლარი?

ბ) ვენახის ყოველ მწკრივში 65 ძირი ვაზია. რამდენი ძირი ვაზი იქნება 6 მწკრივში? 9 მწკრივში?

გ) რამდენი მეტრი ქსოვილი იქნება საჭირო 55 კაბისა და 65 კოსტიუმის შესაკერად, თუ კაბას სჭირდება 3 მ ქსოვილი, კოსტიუმს კი – 4 მ?

84. $(+, -, \cdot, :)$

შეგიძლია გამოიყენო ფრჩხილები.

ა) $3 \dots 3 \dots 3 = 3$

$2 \dots 6 \dots 3 = 4$

$3 \dots 3 \dots 3 = 2$

$4 \dots 4 \dots 4 = 5$

ბ) $3 \dots 4 \dots 5 = 7$

$63 \dots 7 \dots 1 = 8$

$5 \dots 4 \dots 3 = 3$

$20 \dots 8 \dots 4 = 3$

85. $(<, =, >)$

ა) $63 \cdot 7 \dots 7 \cdot 63$

$(47 \cdot 3) \cdot 2 \dots 47 \cdot (3 \cdot 2)$

$96 \cdot (3 + 2) \dots 96 \cdot 6$

$78 + 9 \cdot 6 \dots 96 + 78$

ბ) $32 \cdot (4 + 5) \dots 32 \cdot 4 + 32 \cdot 5$

$135 + 217 \dots 217 + 135$

$218 - 35 \dots 218 - 7 \cdot 5$

$125 \cdot 6 \dots 126 \cdot 5$

86. მართვულხედის სიგანეა 3 სმ, პერიმეტრი — 14 სმ. რამდენი სანტიმეტრია მართვულხედის სიგრძე?

ანომ და ვანომ ამოცანა ასე ამოხსნეს:



1) $3 \cdot 2 = 6$ (სმ)

2) $14 - 6 = 8$ (სმ)

3) $8 : 2 = 4$ (სმ)

პასუხი: 4 სმ



1) $14 : 2 = 7$ (სმ)

2) $7 - 3 = 4$ (სმ)

პასუხი: 4 სმ

1) როგორ მსჯელობდა თითოეული მათგანი?

2) შეადგინე ამოხსნის ორივე ხერხის შესაბამისი გამოსახულება და იპოვე მათი მნიშვნელობები.

87. გამოიანგარიშე ზეპირი ახსნა-განმარტებით:

ა) $(27 + 18) : 3$	ბ) $(35 + 25) : 5$	გ) $(36 + 27) : 9$
$(17 + 7) : 6$	$(11 + 13) : 2$	$(34 + 20) : 6$
$(42 + 14) : 7$	$(26 + 14) : 4$	$(43 + 37) : 10$
$(46 + 44) : 9$	$(40 + 23) : 7$	$(26 + 18) : 4$

მოისაზრე!

88. + , :

$$\begin{aligned}(64 + 4) : 4 &= 64 : 4 \dots 4 : 4 \\ (36 + 6) : 6 &= 36 \dots 6 + 6 \dots 6 \\ (42 + 21) : 7 &= 42 : 7 \dots 21 \dots 7 \\ (64 + 32) : 8 &= 64 \dots 8 \dots 32 \dots 8\end{aligned}$$

$$\begin{array}{r} \times 6^* \\ 7 \\ \hline \end{array}$$

$$\begin{array}{r} \times 2^* \\ 3 \\ \hline \end{array}$$

89. გასაყოფი წარმოადგინე ჯამის სახით და იპოვე განაყოფის მნიშვნელობა:

$$\begin{array}{lll}\text{ა) } 99 : 9 = \square & \text{ბ) } 63 : 3 = \square & \text{გ) } 95 : 5 = \square \\ 84 : 7 = \square & 84 : 4 = \square & 108 : 9 = \square \\ 62 : 2 = \square & 96 : 8 = \square & 96 : 6 = \square\end{array}$$

$$\begin{array}{r} \times 1^* \\ 5 \\ \hline \end{array}$$

$$\begin{array}{r} \times 5^* \\ 5 \\ \hline \end{array}$$

90. მოცემული რიცხვებიდან —

12 13 14 15 16 17 18 19 20 21 —

რომელი გვხვდება

- ა) 3-ზე გამრავლების ცხრილში;
- ბ) 5-ზე გამრავლების ცხრილში;
- გ) 7-ზე გამრავლების ცხრილში;
- დ) 4-ზე გამრავლების ცხრილში;
- ე) 2-ზე გამრავლების ცხრილში;
- ვ) 9-ზე გამრავლების ცხრილში?

$$\begin{array}{r} \times 2^* \\ 9 \\ \hline \end{array}$$

$$\begin{array}{r} \times 3^* \\ 2 \\ \hline \end{array}$$

91. რიცხვთა ერთობლიობიდან —


25 26 42 52 64 36 41 72 90 81 —

ამონერე ის რიცხვები, რომლებიც გვხვდება ერთნიშნა რიცხვების გამრავლების ცხრილში.



ნამრავლის თითოეული ციფრი აღნიშნე $*$ -ით.



მოისაზრე!



ეს ვანოს ოთახია.
დადგი ოთახში 7
სკამი ისე, რომ ყვე-
ლა კედელთან სკა-
მების ერთი და იგი-
ვე რაოდენობა აღ-
მოჩნდეს.

§3. ნაშთიანი გაყოფა

92.

 $15 = 5 \cdot 3$ ა	 $19 = 5 \cdot 3 + 4$ ბ
--	---

სურათებზე წრები ხუთეულებადაა დაყოფილია. თითოეულ სურათს მიწერილი აქვს შესაბამისი ტოლობა, რომლებსაც შენ კარგად იცნობ.

- 1) გაიხსენე, რას გვიჩვენებს თითოეული რიცხვი ჩანაწერებში,
- 2) როგორ შეიძლება წავიკითხოთ სხვადასხვანაირად ეს ტოლობები,
- 3) დაწერე თითოეული ტოლობის შესაბამისი ტოლობა, რო-
მელიც შეიცავს გაყოფის მოქმედებას.

რომელ შემთხვევაში გაგიჭირდა დავალების შესრულება?

თუ მე-3 დავალება სწორად შეასრულე, მიიღებდი

$$15 : 5 = 3 \text{ (გ)} \qquad 19 : 5 = 3 \text{ (ნაშთი 4) (დ)}$$

როგორც ხედავ, (გ) შემთხვევაში ნაშთი არ დაგვრჩება. ამბობენ, რომ 15 უნაშთოდ იყოფა 5-ზე და განაყოფია 3. (დ) შემთხვევაში ნაშთია 4. ამბობენ, რომ 19-ის 5-ზე გაყოფისას მიღება არასრული განაყოფი 3 და ნაშთი 4.

- 4) შეიძლება თუ არა, (გ) და (დ) ტოლობების ნაცვლად დავ-
წეროთ, შესაბამისად,

$$15 : 5 = 2 \text{ (ნაშთი 5)} \qquad 19 : 5 = 2 \text{ (ნაშთი 9)?}$$

ამ კითხვას ანომ და ვანომ ასე უპასუხეს:



შეიძლება, რადგან $5 \cdot 2 + 5 = 15$.



არ შეიძლება, რადგან 15-სა და 19-ში 5 მოთავსდება 3-ჯერ
და არა 2-ჯერ.



გიგომ კი დაამატა:

ვანოს ვეთანხმები. ვთიქრობ, ნაშთის მითითებით (გ) ტოლო-
ბა ასე შეიძლება ჩავწეროთ:

$$15 : 5 = 3 \text{ (ნაშთი 0).}$$

- 5) შენ როგორ ფიქრობ?

დაიმახსოვრე!

გაყოფისას ნაშთი ყოველთვის ნაკლები უნდა იყოს გამყოფზე. უნაშთო გაყოფისას ნაშთი 0-ის ტოლია.

მოისაზრე!

93. შეასრულე გაყოფა:

$$\begin{array}{lll} \text{ა) } 27 : 4 = \square \text{ (ნაშთი } \square) & \text{ბ) } 36 : 7 = \dots & \text{გ) } 39 : 9 = \dots \\ 27 : 2 = \dots & 42 : 5 = \dots & 28 : 3 = \dots \\ 27 : 9 = \dots & 64 : 8 = \dots & 32 : 6 = \dots \end{array}$$

94. რიცხვთა მოცემული ერთობლიობიდან —

14 15 16 23 50 51 74 72 65 79 —

ამონერე ყველა რიცხვი, რომელთა 7-ზე გაყოფისას ნაშთია 2.

$$\begin{array}{r} \times 42 \\ * \\ \hline **4 \end{array}$$

95. 1) იპოვე შეცდომები მოქმედებათა მითითებულ თანამიმდევრობაში და გაასწორე:

$$\begin{array}{ll} \text{ა) } \square + \square \cdot \square - \square : \square & \text{გ) } \square + \square \cdot (\square - \square) : \square \\ \begin{array}{cccc} 1 & 2 & 3 & 4 \end{array} & \begin{array}{cccc} 1 & 2 & 3 & 4 \end{array} \\ \text{ბ) } (\square + \square) \cdot \square - \square : \square & \text{დ) } \square + (\square : \square - \square) \cdot \square \\ \begin{array}{cccc} 1 & 2 & 3 & 4 \end{array} & \begin{array}{cccc} 1 & 2 & 3 & 4 \end{array} \end{array}$$

$$\begin{array}{r} \times 73 \\ * \\ \hline 1 ** \end{array}$$

2) ჩანს უჯრედებში ისეთი რიცხვები, რომ შესაძლებელი იყოს გამოსახულების მნიშვნელობის პოვნა.

3) ამოცანა ამოსახსნელად ამხანაგს მიეცი, შენ კი მისი შედგენილი ამოცანა ამოხსენი.

96. გამოიანგარიშე:

$$\begin{array}{ll} \text{ა) } 54 : 3 \cdot 7 - 91 & \text{ბ) } 159 - (65 + 16) : 9 \\ 27 \cdot 3 : 9 + 67 & 243 + 9 \cdot (90 - 87) \\ 32 : (74 - 66) & 464 + 28 : 7 \cdot 9 \\ (44 + 28) : 8 & 224 + (23 + 16) \cdot 2 \end{array}$$

$$\begin{array}{r} \times \\ 7 \\ \hline 1 * 8 \end{array}$$

97. ამოხსენი ამოცანები და შეადარე ერთმანეთს:

- მართკუთხედის სიგრძეა 15 სმ, პერიმეტრი — 44 სმ. რას უდრის მართკუთხედის სიგანე?
- მართკუთხედის ორი მოპირდაპირე გვერდის ჯამია 16 სმ, პერიმეტრი — 42 სმ. იპოვე მართკუთხედის გვერდების სიგრძე.

მოისაზრე!

45		35
	50	
		55



შეავსე „ჯადასნური
კვადრატი“

§4. ნაშთიანი გაყოფის შემოწმება

98. 1) იპოვე

$$45 : 3$$

განაყოფის მნიშვნელობა და პასუხი შეამოწმე გამრავლებით.

2) იპოვე

$$25 : 4$$

განაყოფის მნიშვნელობა და მოიფიქრე როგორ შეიძლება შევამოწმოთ ნაშთიანი გაყოფა (თუ დავალების შესრულება გიძნელდება, ერთხელ კიდევ კარგად გაიაზრე 92-ე ამოცა-ნაში მოცემული ტოლობები).

ანომ და ვანომ ასეთი ვარიანტები მოიფიქრეს:


$$25 : 4 = 6 \text{ (ნაშთი 1)}$$

გაყოფა სწორადაა შესრულებული, რადგან $1 < 4$ და $6 \cdot 4 + 1 = 25$.


$$25 : 4 = 6 \text{ (ნაშთი 1)}$$

გაყოფა სწორადაა შესრულებული, რადგან $1 < 4$,

$$25 - 1 = 24 \text{ და } 6 \cdot 4 = 24$$

როგორ მსჯელობდნენ ანო და ვანო?

შენ რა ხერხი მოიფიქრე ნაშთიანი გაყოფის შესამოწმებლად?

99. შეასრულე მოქმედება და შეამოწმე:

a) $83 : 9$

$47 : 5$

$64 : 8$

b) $55 : 6$

$25 : 4$

$42 : 5$

c) $49 : 7$

$28 : 3$

$21 : 2$

100. 1) შეასრულე გაყოფა:

a) $16 : 4 = \square$ (ნაშთი \square)

$17 : 4 = \dots$

$18 : 4 = \dots$

$19 : 4 = \dots$

$20 : 4 = \dots$

$21 : 4 = \dots$

b) $25 : 5 = \dots$

$26 : 5 = \dots$

$27 : 5 = \dots$

$28 : 5 = \dots$

$29 : 5 = \dots$

$30 : 5 = \dots$

c) $18 : 3 = \dots$

$19 : 3 = \dots$

$20 : 3 = \dots$

$21 : 3 = \dots$

$22 : 3 = \dots$

$23 : 3 = \dots$

2) რამდენი განსხვავებული ნაშთი მიიღება თითოეულ სვეტში?

შეადარე განსხვავებულ ნაშთთა რიცხვი გამყოფს. რას ამჩნევ?

დაიმახსოვრე!

რიცხვის n -ზე გაყოფისას შეიძლება მივიღოთ n სხვადასხვა ნაშთი 0 -დან ($n - 1$)-ის ჩათვლით.

თუ ნაშთი 0 -ის ტოლია, ამბობენ, რომ რიცხვი n -ზე უნაშთოდ იყოფა ან, უბრალოდ, იყოფა n -ზე.

101. ჩამოთვალე რიცხვები, რომელიც შეიძლება მივიღოთ ნაშთად:

- ა) 9-ზე გაყოფისას, ბ) 10-ზე გაყოფისას,
გ) 15-ზე გაყოფისას. დ) 21-ზე გაყოფისას?

მოისაზრე!

102. შეიძლება თუ არა, რომ რიცხვის

- ა) 12-ზე გაყოფისას ნაშთი იყოს 5; 11; 13; 2; 15?
ბ) 7-ზე გაყოფისას ნაშთი იყოს 3; 0; 7; 9; 14?
გ) 22-ზე გაყოფისას ნაშთი იყოს 5; 12; 21; 22; 23?

103. ამოხსენი ამოცანები და შეადარე ერთმანეთს:

- ა) ლექსების კრებული 127-გვერდიანია, ზღაპრების წიგნში კი 3-ჯერ მეტი გვერდია. რამდენგვერდიანი ყოფილა ზღაპრების წიგნი?
- ბ) ამოცანათა კრებულში 471 ტექსტური ამოცანაა, სახელმძღვანელოში კი 2-ჯერ მეტი. რამდენით ნაკლები ტექსტური ამოცანა ყოფილა კრებულში?

$$\begin{array}{r} * \\ \times \\ 8 \\ \hline *6 \end{array}$$

104. 1) a -სა და b -სთვის შეარჩიე კიდევ სამი შესაძლო მნიშვნელობა და შეავსე ცხრილები:

a	5	40	25			
$25 + a$						

b	0	5	17			
$25 - b$						



$$\begin{array}{r} ** \\ \times \\ 7 \\ \hline *4 \end{array}$$

- 2) a -ს მნიშვნელობების შერჩევა უფრო ადვილია თუ b -სი? რატომ?

$$\begin{array}{r} **7 \\ \times \\ * \\ \hline **6 \end{array}$$

105. ამოხსენი განტოლება:

$$898 - x = 567 \quad x : 4 = 32$$

$$x + 223 = 767 \quad 7 \cdot x = 350$$

$$\begin{array}{r} **7 \\ \times \\ * \\ \hline **3 \end{array}$$

106. გამოიანგარიშე:

$$\begin{array}{r} \times 235 \\ \hline 4 \end{array} \quad \begin{array}{r} \times 227 \\ \hline 3 \end{array} \quad \begin{array}{r} \times 138 \\ \hline 6 \end{array} \quad \begin{array}{r} \times 196 \\ \hline 5 \end{array} \quad \begin{array}{r} \times 211 \\ \hline 4 \end{array}$$

მოისაზრე!

107. 1) შეამონე სწორადაა თუ არა შესრულებული გაყოფა:

$16 : 3 = 5$ (ნაშთი 1)	$72 : 9 = 8$ (ნაშთი 0)
$32 : 8 = 4$ (ნაშთი 0)	$9 : 10 = 0$ (ნაშთი 10)
$6 : 9 = 1$ (ნაშთი 3)	$9 : 10 = 1$ (ნაშთი 1)
$6 : 8 = 0$ (ნაშთი 6)	$9 : 10 = 0$ (ნაშთი 9)
$13 : 15 = 0$ (ნაშთი 13)	$20 : 22 = 0$ (ნაშთი 20)

2) ამონტერე სწორი ტოლობები, რომელიც გასაყოფი გამყოფზე ნაკლებია;
დაასახელე არასრული განაყოფი და ნაშთი. რას ამჩნევ?

დაიმახსოვრე!

თუ გასაყოფი გამყოფზე ნაკლებია, არასრული განაყოფი იქნება 0, ნაშთი კი გასაყოფის ტოლია.

108. დაასახელე

- 1) 19-ზე ნაკლები უდიდესი რიცხვი, რომელიც უნაშთოდ იყოფა:
ა) 2-ზე ბ) 3-ზე გ) 6-ზე დ) 8-ზე;
- 2) 27-ზე ნაკლები უდიდესი რიცხვი, რომელიც უნაშთოდ იყოფა:
ა) 4-ზე ბ) 5-ზე გ) 7-ზე დ) 8-ზე.

ერთ კლასში 24 მოსწავლეა, მეორეში – 36. შეიძლება თუ არა, რომ კლასში ყველა ბავშვის გვარი სხვადასხვა ასოთი იწყებოდეს? რატომ?

109. 1) მოცემული განაყოფებიდან ამონტერე ის, რომელიც გასაყოფი გამყოფზე უნაშთოდ არ იყოფა:

$$45 : 9 \quad 18 : 3 \quad 31 : 5 \quad 49 : 7$$

- 2) გასაყოფი წარმოადგინე ორი შესაკრების ჯამად ისე, რომ პირველი შესაკრები იყოს გასაყოფზე ნაკლები უდიდესი რიცხვი, რომელიც გამყოფზე უნაშთოდ იყოფა;
- 3) შეასრულე ჯამის რიცხვზე გაყოფა. დაწერე არასრული განაყოფი და ნაშთი.

თუ დავალება სწორად შეასრულე, მიიღებდი

$$31 : 5 = (30 + 1) : 5 = 30 : 5 + 1 : 5 = 6 \text{ (ნაშთი 1)}$$

110. გაყოფა ქვეშმიწერით ასე ჩაიწერება:

$$\begin{array}{r} - 45 \Big| 9 \\ \underline{- 45} \qquad \qquad 5 \\ \qquad \qquad \qquad 0 \end{array} \qquad \begin{array}{r} - 31 \Big| 5 \\ \underline{- 30} \qquad \qquad 6 \\ \qquad \qquad \qquad 1 \end{array}$$

ახსენი,

- 1) რას წარმოადგენს თითოეული რიცხვი ამ ჩანაწერში;
- 2) რა ნიშნითაა შეცვლილი გაყოფის (:) ნიშანი;
- 3) სად იწერება გამყოფი;
- 4) როგორ მიიღება არასრული განაყოფი და სად იწერება იგი;
- 5) როგორ მიიღება ნაშთი.

111. ჩანერე გაყოფა ზეპირი ახსნა-განმარტებით:

$9 : 2$	$28 : 3$	$38 : 8$	$6 : 8$
$18 : 3$	$7 : 4$	$40 : 4$	$42 : 5$
$48 : 6$	$41 : 7$	$2 : 7$	$65 : 8$
$17 : 2$	$63 : 9$	$45 : 6$	$33 : 5$

მოისაზრე!

მითითება: თუ გიძნელდება გასაყოფზე ნაკლები უდიდესი რიცხვის დასახელება, რომელიც გამყოფზე უნაშთოდ იყოფა, მაშინ არასრული განაყოფი შერჩევით უნდა იპოვო.

მაგალითად, $29 : 8$

გასაყოფში გამყოფი ერთზე მეტჯერ მოთავსდება. ამიტომ შერჩევა დავიწყოთ 2-დან.

$$8 \cdot 2 = 16, \quad 29 - 16 = 13, \quad 13 > 8$$

2 არ გამოდგება. შევამოწმოთ 3

$$8 \cdot 3 = 24, \quad 29 - 24 = 5, \quad 5 < 8$$

მაშასადამე, არასრული განაყოფი იქნება 3, ნაშთი — 5.

112. გამოიანგარიშე:

ა) $215 + 138 + 440$	ბ) $235 \cdot 4$
$660 - 268 + 516$	$227 \cdot 3$
$750 + 129 - 370$	$138 \cdot 6$
$968 - 217 - 365$	$196 \cdot 5$

113. 1) იპოვე ნამრავლის მნიშვნელობა ზეპირად:

$$(200 + 50 + 7) \cdot 3 = \square$$

2) მოიფიქრე, როგორ იპოვიდი ამ გამოსახულების მნიშვნელობას ქვეშმიწერით და ჩანერე.


114. გამოიანგარიშე ქვეშმიწერით:

ა) $207 + 375$	ბ) $251 \cdot 3$
$903 - 738$	$(300 + 60 + 9) \cdot 2$
$361 + 439$	$192 \cdot 4$
$600 - 521$	$(200 + 70 + 9) \cdot 3$

115. ა) $\square \cdot 5 + 4 = 29$	ბ) $\square \cdot 6 + 6 = 66$
$\square \cdot 5 + 16 = 36$	$\square \cdot 7 - 7 = 28$
$\square \cdot 5 - 7 = 38$	$4 \cdot \square - 4 = 4$
$\square \cdot 5 - 15 = 25$	$9 \cdot \square + 9 = 90$


116. გამოიანგარიშე ზეპირად:

ა) $13 \cdot 7$	ბ) $14 \cdot 9$	გ) $99 : 9$
$6 \cdot 12$	$96 : 8$	$16 \cdot 5$
$96 : 6$	$8 \cdot 14$	$72 : 6$
$91 : 7$	$76 : 4$	$17 \cdot 3$



რამდენ სამკუთხედს
ხედავ სურათზე?

მოისაზრე!



ასანთის სამი ღერით მიიღე ოთხი ისე, რომ არც ერთი ღერი არ გატეხო

117. ა) იპოვე ორი რიცხვი, რომელთა 8-ზე გაყოფისას ნაშთი იქნება 3;

ბ) იპოვე უმცირესი და უდიდესი ორნიშნა რიცხვები, რომელთა 6-ზე გაყოფისას ნაშთი იქნება 1;

გ) იპოვე უდიდესი ორნიშნა და უმცირესი სამნიშნა რიცხვები, რომელთა 19-ზე გაყოფისას ნაშთი იქნება 18.

118. ამოხსენი ამოცანა:

მეოთხეკლასელებმა სასკოლო გამოფენისთვის 31 სურათი დახატეს, მესამეკლასელებმა კი – 19-ით მეტი. ამ სურათების ერთი მეცხრედი გამოფენაზე არ გაუტანიათ. მესამე და მეოთხე კლასების მოსწავლეთა რამდენი ნამუშევარი გაიტანეს გამოფენაზე?

119. მართკუთხედის გვერდებია 3 სმ და 5 სმ. დახაზე კვადრატი, რომლის პერიმეტრი ამ მართკუთხედის პერიმეტრის ტოლი იქნება.

120. ამოიწერე მხოლოდ ის გამოსახულებები, რომლებშიც გაყოფის შედეგად ნაშთი მიიღება და შეასრულე მოქმედება:

$29 : 4$	$72 : 9$	$60 : 7$	$63 : 9$
$28 : 7$	$36 : 4$	$100 : 20$	$57 : 7$
$37 : 9$	$25 : 6$	$36 : 5$	$66 : 6$
$68 : 8$	$44 : 11$	$45 : 5$	$65 : 5$

121. შეამოწმე, სწორად არის თუ არა შესრულებული გაყოფა. გაასწორე შეცდომები:

$38 : 6 = 6$ (ნაშთი 2)	$5 : 8 = 8$
$24 : 5 = 4$ (ნაშთი 4)	$94 : 14 = 6$ (ნაშთი 1)
$82 : 9 = 9$ (ნაშთი 2)	$25 : 4 = 6$ (ნაშთი 1)
$56 : 7 = 8$	$72 : 8 = 9$

122. $\square : 5 = 6$ (ნაშთი 2) $\square : 13 = 5$ (ნაშთი 3)
 $\square : 3 = 33$ (ნაშთი 1) $\square : 12 = 6$ (ნაშთი 5)
 $85 : \square = 9$ (ნაშთი 4) $100 : \square = 11$ (ნაშთი 1)
 $73 : \square = 8$ (ნაშთი 1) $127 : \square = 5$ (ნაშთი 2)

123. $(<, =, >)$

$7 \cdot 3 + 8 \cdot 3 \dots (7 + 8) \cdot 3$	$25 + 5 \cdot 5 \dots 26 + 4 \cdot 4$
$(30 + 5) \cdot 3 \dots 45 \cdot 3$	$6 \cdot 7 + 9 \dots 6 \cdot 7 + 8$
$6 \cdot 5 + 3 \cdot 5 \dots (6 + 3) \cdot 6$	$53 : 8 \dots 53 : 9$
$8 \cdot 9 + 13 \dots 9 \cdot 8 + 13$	$25 \cdot 3 \dots 15 \cdot 5$

124. დაწერე გამოსახულება და იპოვე მისი მნიშვნელობა:

- ა) 8-ისა და 5-ის ნამრავლი შემცირებული 6-ით;
- ბ) 9-ისა და 26-ის ჯამი გამრავლებული 8-ზე;
- გ) 95 გაყოფილი 18-ისა და 13-ის სხვაობაზე;
- დ) 136-ისა და 124-ის ჯამი შემცირებული 10-ჯერ;
- ე) 215-ისა და 32-ის სხვაობა გადიდებული 4-ჯერ.

მოისაზრე!

125. გამოიანგარიშე:

ა) $12 \cdot 7 + 90 : 6$	ბ) $48 : 4 + 56 : 4$
$9 \cdot 12 - 180 : 9$	$13 \cdot 6 - 98 : 7$
$68 : 4 + 17 \cdot 4$	$16 \cdot 4 + 18 \cdot 3$
$96 : 8 - 84 : 7$	$12 \cdot 9 - 68 : 4$

126. 1) ამოხსენი ამოცანა:

ორ ერთნაირ ყუთში 24 ფანქარი ეტევა. რამდენი ფანქარი ჩაეტევა ექვს ასეთ ყუთში?

2) ანომ და ვანომ ამოცანა ასე ამოხსნეს:



1) $24 : 2 = 12$ (ფ.)	1) $6 : 2 = 3$
2) $12 \cdot 6 = 72$ (ფ.)	2) $24 \cdot 3 = 72$ (ფ.)

პასუხი: 72 ფანქარი.

პასუხი: 72 ფანქარი.

როგორ მსჯელობდა თითოეული მათგანი?

რამდენ ნაწილად შე-იძლება გაიყოს თოკი მასზე 5 ნასკვის გა-კეთებით?

127. რამდენი ისეთი მართვულხედი არსებობს, რომელთა გვერდების სიგრძე სანტიმეტრების მთელი რიცხვით გამოისახება და პერიმეტრია 36 სმ?

დახაზე ერთ-ერთი მათგანი.

128. გამოიანგარიშე ქვეშმიწერით:

ა) $578 - 239$	ბ) $423 - 284$	გ) $156 \cdot 5$
$339 + 272$	$219 \cdot 4$	$648 + 352$
$234 \cdot 3$	$338 + 277$	$705 - 126$
$229 + 77 + 91$	$538 + 39 + 78$	$56 + 98 + 125$

მოისაზრე!

271		
	259	
255		247



შეავსე „ჯადასნური
კვადრატი“

129. იპოვე განაყოფის მნიშვნელობა შერჩევით:

ა) $68 : 17 = \square$	ბ) $141 : 47 = \square$	გ) $184 : 23 = \square$
$144 : 18 = \square$	$252 : 36 = \square$	$549 : 61 = \square$
$104 : 26 = \square$	$260 : 52 = \square$	$342 : 57 = \square$
$132 : 33 = \square$	$261 : 29 = \square$	$567 : 81 = \square$

1) გიგომ, ანომ და ვანომ დავალება ასე შეასრულეს:



$68 : 17 = \square$ შერჩევა დავიწყოთ 2-დან:

$17 \cdot 2 = 34$	$34 < 68$	2 არ გამოდგება
-------------------	-----------	----------------

$17 \cdot 3 = 51$	$51 < 68$	3 არ გამოდგება
-------------------	-----------	----------------

$17 \cdot 4 = 68$	$68 = 68$	4 გამოდგება
-------------------	-----------	-------------

ე.ო. $68 : 17 = 4$.



$68 : 17 = \square$

68-ში სამი ოცეულია, მაშასადამე, მასში 17 სამჯერ მაინც მოთავსდება. ამიტომ შერჩევა დავიწყოთ 3-დან:

$17 \cdot 3 = 51$	$51 < 68$	3 არ გამოდგება
-------------------	-----------	----------------

$17 \cdot 4 = 68$	$68 = 68$	4 გამოდგება
-------------------	-----------	-------------

ე.ო. $68 : 17 = 4$.



$68 : 17 = \square$

განაყოფი ისეთი რიცხვი უნდა იყოს, რომ მისი 7-ზე ნამ-რავლი 8-ით ბოლოვდებოდეს. ასეთი რიცხვია 4.

შევამოწმოთ: $17 \cdot 4 = 68$, ე.ო. $68 : 17 = 4$.


2) განაყოფის შერჩევის რომელი ხერხი უფრო მოგეწონა? რატომ?

3) იპოვე დანარჩენი განაყოფების მნიშვნელობა შენ მიერ შერჩეული ხერხით, ზეპირი ახსნა-განმარტებით.

130. შეარჩიე მოქმედების ნიშანი და იპოვე ტოლობის უცნობი წევ-რი. განიხილე ყველა შესაძლო შემთხვევა.

ა) $164 \dots \square = 41$	ბ) $\square \dots 3 = 39$	გ) $63 \dots \square = 7$
$\square \dots 6 = 18$	$40 \dots \square = 18$	$\square \dots 7 = 42$

131. დაასახელე მართვულხა პარალელეპიდების წვეროები, წიბოები, წახნაგები.



§5. ოთხნიშნა რიცხვები

შენ უკვე იცნობ ერთნიშნა, ორნიშნა და სამნიშნა რიცხვებს, შეგიძლია მათი წაკითხვა, ჩანერა და შედარება. იცი, რომ რიცხვის ჩანაწერში მარჯვნიდან პირველ ადგილს პირველი ანუ ერთეულების თანრიგი ჰქვია, მეორე ადგილი მეორე ანუ ათეულების თანრიგია, მესამე ადგილი კი – მესამე ანუ ასეულების თანრიგი.

ყველა თანრიგის ათი ერთეული შემდეგი თანრიგის ერთ ერთეულს შეადგენს:

$$\begin{array}{l} 10 \text{ ერთეული } 1 \text{ ათეულია,} \\ 10 \text{ ათეული } - 1 \text{ ასეული.} \end{array}$$

ასევე,

$$\begin{array}{l} 10 \text{ ასეული } 1 \text{ ათასეულია,} \\ 1 \text{ ათასეული } \text{ათასი } (1000) \text{ ერთეულია.} \end{array}$$

ათასეულები მეოთხე ანუ ათასეულების თანრიგში იწერება.

თანრიგები →	ათასეულები	ასეულები	ათეულები	ერთეულები
თანრიგის ერთეულები →		1	1	1 0
→	1	0	0	0

მოისაზრე!

$$\begin{array}{r} \times 209 \\ * \\ \hline 6 ** \end{array}$$

$$\begin{array}{r} \times ***9 \\ * \\ \hline *45 \end{array}$$

$$\begin{array}{r} \times 2*7 \\ * \\ \hline *68 \end{array}$$

$$\begin{array}{r} \times ***7 \\ * \\ \hline 711 \end{array}$$

132. 1) რამდენი ათეულია ასეულში?
 რამდენი ასეულია ათასეულში?
 რამდენი ათეულია ათასეულში?
- 2) რამდენჯერ წაკლებია თითოეული თანრიგის ერთეული შემდეგი თანრიგის ერთეულზე?
- 3) რამდენჯერ მეტია მესამე თანრიგის ერთეული პირველი თანრიგის ერთეულზე?
 მეოთხე თანრიგის ერთეული მეორე თანრიგის ერთეულზე?
 მეოთხე თანრიგის ერთეული პირველი თანრიგის ერთეულზე?

მოისაზრე!

+ , - , · , :

$$\begin{array}{l} 2 \ 2 \ 2 \ 2 \ 2 = 21 \\ 2 \ 2 \ 2 \ 2 \ 2 = 22 \\ 2 \ 2 \ 2 \ 2 \ 2 = 23 \\ 2 \ 2 \ 2 \ 2 \ 2 = 24 \\ 2 \ 2 \ 2 \ 2 \ 2 = 25 \\ 2 \ 2 \ 2 \ 2 \ 2 = 26 \end{array}$$



ჩანს რე მოქმედებათა
ნიშნები ისე, რომ
სწორი ტოლობა მი-
იღო.
შეგიძლია გამოიყე-
ნო ფრჩხილები.

ათასეულები იწერება და იკითხება ასე:

ათასეულების რიცხვი	ციფრული ჩანაწერი	ქართული სახელი
2 ათასეული	2 000	ორი ათასი
3 ათასეული	3 000	სამი ათასი
4 ათასეული	4 000	ოთხი ათასი
5 ათასეული	5 000	ხუთი ათასი
6 ათასეული	6 000	ექვსი ათასი
7 ათასეული	7 000	შვიდი ათასი
8 ათასეული	8 000	რვა ათასი
9 ათასეული	9 000	ცხრა ათასი

133. რამდენი ათასეულია 6000?

რამდენი ასეულია? რამდენი ათეულია?

134. $8\ 000 = \square$ ათას. = \square ას. = \square ათ. = \square ერთ.

$5\ 000 = \square$ ას. = \square ათ. = \square ათას. = \square ერთ.

$3\ 000 = \square$ ერთ. = \square ათას. = \square ათ. = \square ას.

ათასზე მეტი რიცხვების წაკითხვისას ჯერ ვასახელებთ ათა-
სეულების რიცხვს და შემდეგ დარჩენილ რიცხვს.

მაგალითად, $2\ 001$ — ორი ათას ერთი,

$5\ 012$ — ხუთი ათას თორმეტი,

$1\ 233$ — ათას ორას ოცდაცამეტი.

რიცხვი ადვილად რომ წავიკითხოთ, პირველ რიცხვს ოდნავ
აშორებენ დანარჩენ სამს.

135. წაიკითხეთ რიცხვები:

2 703 5 444 9 999 3 003 6 300 8 032

136. დაწერე რიცხვი:

- ა) სამი ათას ორმოცი;
- ბ) ოთხი ათას სამას ხუთი;
- გ) შვიდი ათას ორას ცხრა;
- დ) ცხრა ათას ცხრაას სამი;
- ე) ორი ათას შვიდი;
- ვ) ათას სამას სამოცდახუთი.

137. 1) რა მსგავსება და განსხვავებაა მოცემულ რიცხვებს შორის?


- | | |
|-----------------------|--------------------|
| ა) 7, 70, 700, 7 000; | გ) 12, 125, 1 250; |
| ბ) 32, 320, 3 200; | დ) 23, 230, 2 323 |

2) რას აღნიშნავს ერთნაირი ციფრები თითოეულ რიცხვში?

138. 1) წაიკითხე თანრიგთა ცხრილში ჩაწერილი რიცხვები:

კოსეულები	ასეულები	თუულები	ერთულები
5	3	7	9
	9	6	3
2	5	3	0
	3	0	3
3	4	0	0

მოისაზრე!




2) თითოეულ რიცხვში

- ა) რომელია უმაღლესი თანრიგი?
- ბ) რომელ თანრიგში დგას ციფრი „3“ და რას გვიჩვენებს იგი?
- გ) რომელი ციფრი დგას ათასეულების თანრიგში?
- დ) რას გვიჩვენებს ციფრი „0“?

139. რას გვიჩვენებს თითოეული შვიდიანი 7 777-ში?

140. ჩაწერე რიცხვი ციფრებით:

- | | | |
|----------------|---------------|----------------|
| 5 ათას. 71 ათ. | 7 ათას. | 5 ათას. 7 ათ. |
| 63 ას. 5 ერთ. | 53 ათ. 6 ერთ. | 9 ათას. 9 ერთ. |
| 356 ათ. | 24 ას. 3 ათ. | 88 ას. |
| 2 ათას. 3ას. | 512 ათ. | 28 ათ. 2 ერთ. |



141. დაწერე:

- ა) უმცირესი და უდიდესი ოთხნიშნა რიცხვები;
- ბ) 2 348-ის მომდევნო ხუთი რიცხვი;
- გ) 5 600-ის წინა რიცხვი;
- დ) 6 899-ის შემდეგი რიცხვი;
- ე) რიცხვები, რომლებიც 7 896-სა და 7 905-ს შორისაა.

142. შეავსე მომდევნო რიცხვთა სამეულებად:

- | | | |
|-----------------|-----------------|-----------------|
| ..., 1 900, ... | 5 739, ..., ... | 6 399, ..., ... |
| ..., ..., 3 000 | ..., 8 000, ... | ..., 9 400, ... |

143. (+, -, ·, :)

- | | |
|-------------------------------|--------------------------------|
| ა) $90 \dots 47 \dots 43 = 0$ | ბ) $85 \dots 62 \dots 27 = 50$ |
| 56 ... 70 ... 35 = 91 | 80 ... 52 ... 28 = 0 |
| 100 ... 28 ... 57 = 15 | 60 ... 18 ... 12 = 90 |
| 37 ... 20 ... 13 = 44 | 54 ... 40 ... 13 = 27 |

ამოიცანი რიცხვის
შერჩევის წესი და
ჩაწერე გამოტოვე-
ბული რიცხვები,

მოისაზრე!

+ , - , · , :

$$1 \ 1 \ 1 \ 1 \ 1 = 100$$

$$5 \ 5 \ 5 \ 5 \ 5 = 100$$

$$9 \ 9 \ 9 \ 9 \ 9 = 100$$



შეგიძლია გამოიყენო ფრჩისი.

144. მოიფიქრე, რა წესის მიხედვითაა შედგენილი მეორე მწერივი და განაგრძე იგი:

ა) 1 2 3 4 5 6 7 8 9 10
 4 8 12

ბ) 1 2 3 4 5 6 7 8 9 10
 5 9 13

145. გამოიანგარიშე ქვეშმიწერით:

ა) $276 + 64 + 347$

$393 + 95 + 207$

$412 + 86 + 218$

$787 + 72 - 113$

ბ) $576 - 123 + 94$

$614 + 226 - 123$

$223 - 48 + 135$

$616 - 303 - 121$

146. სვეტის პირველი ტოლობის მიხედვით შეავსე დანარჩენები:

ა) $127 \cdot 5 = 635$

$635 : 5 = \square$

$5 \cdot 127 = \square$

$635 : 127 = \square$

ბ) $53 \cdot 12 = 636$

$12 \cdot 53 = \square$

$636 : 12 = \square$

$636 : \square = 12$


147. ამოხსენი ამოცანა:

სკოლაში 876 მოსწავლეა. ნახევარი ინგლისურ ენას სწავლობს, ერთი მესამედი – გერმანულს, დანარჩენი – ფრანგულს. სკოლის რამდენი მოსწავლე სწავლობს ფრანგულს?

148. დაასახელე კუბის

ა) უხილავი წახნაგები;

ბ) ხილული წახნაგები.



§6. სათანრიგო შესაკრებთა ჯამი

149. 1) ჩაწერე რიცხვი ციფრებით:

ორი ათას ხუთას სამოცდაშვიდი

მოისაზრე!

2) დაასახელე ციფრი, რომელიც დგას

ა) ათეულების თანრიგში;

ბ) ასეულების თანრიგში;

გ) ათასეულების თანრიგში.

3) დაასახელე თითოეული ციფრის რიცხვითი მნიშვნელობა
მოცემულ რიცხვში;

+ , - , · , :

რიცხვი 2 567 სათანრიგო შესაკრებთა ჯამის სახით ასე ჩაი-
ნერება:

$$2\ 567 = 2\ 000 + 500 + 60 + 7.$$

150. ჩაწერე სათანრიგო შესაკრებთა ჯამის სახით რიცხვები:

5789, 3054, 2507, 7630, 9375.

$$2\ 2\ 2\ 2\ 2 = 10$$

$$2\ 2\ 2\ 2\ 2 = 20$$

$$2\ 2\ 2\ 2\ 2 = 30$$

$$2\ 2\ 2\ 2\ 2 = 40$$

$$2\ 2\ 2\ 2\ 2 = 50$$

151. ჩაწერე ციფრებით რიცხვი:

$$6\ 000 + 900 + 60 + 6$$

$$4\ 000 + 500 + 50 + 5$$

$$3\ 000 + 200 + 3$$

$$7\ 000 + 40 + 7$$

$$8\ 000 + 50 + 9$$

$$2\ 000 + 200 + 20 + 2$$

$$9\ 000 + 9$$

$$5\ 000 + 50 + 5$$

152. ჩაწერე რიცხვი ციფრებით:

4 ათას. 32 ათ.

7 ათას. 77 ათ.

9 ათას. 9 ას.

5 ათას. 7 ერთ.

4 ას. 2 ერთ.

9 ათას. 9 ათ.

3 ას. 2 ათ.

6 ათას. 6 ერთ.

9 ათას. 9 ერთ.

58 ას.

58 ათ.

9 ას. 9 ათ. 9 ერთ.

153. მოიფიქრე რა წესის მიხედვითაა შედგენილი მწერივი და დაწერე
ამ მწერივის შემდეგი ხუთი რიცხვი:

ა) 10, 20, 30, 40, ...

ჩაწერე მოქმედებათა
ნიშნები ისე, რომ
სწორი ტოლობა მი-
იღო.

ბ) 100, 200, 300, 400, ...

შეგიძლია გამოიყე-
ნო ფრჩხილები.

გ) 1 000, 2 000, 3 000, 4 000, ...

დ) 1 001, 2 002, 3 003, 4 004, ...

ე) 1 010, 2 020, 3 030, 4 040, ...

ვ) 1 100, 2 200, 3 300, 4 400, ...

მოისაზრე!

154. ამოხსენი ამოცანა:

ოთხ ერთნაირ ყუთში 28 კგ კანფეტი ეტევა. რამდენი კილო-
გრამი კანფეტი ჩაეტევა ხუთ ასეთ ყუთში?

ანომ და ვანომ ამოცანა ასე ამოხსნეს:



- 1) $28 : 4 = 7$ (კგ)
2) $28 + 7 = 35$ (კგ)



- 1) $28 : 4 = 7$ (კგ)
2) $7 \cdot 5 = 35$ (კგ)

პასუხი: 35 კგ.

პასუხი: 35 კგ.

$$\begin{array}{r} \times 2 * 9 \\ \quad * \\ \hline * 27 \end{array}$$

$$\begin{array}{r} \times * * 7 \\ \quad \quad 6 \\ \hline * 42 \end{array}$$

$$\begin{array}{r} \times 2 * 4 \\ \quad * \\ \hline * 02 \end{array}$$

$$\begin{array}{r} \times * 71 \\ \quad * \\ \hline 8 * 3 \end{array}$$

- 1) რომელმა ამოხსნა ამოცანა სწორად?
2) როგორ მსჯელობდა თითოეული მათგანი?
3) ზეპირად შესრულებული რა მოქმედება აკლია ანოს ჩანა-
წერს?
4) ამოხსნის რომელ ხერხს გამოიყენებ, თუ გინდა გაიგო,
რამდენი კილოგრამი კანფეტი იქნება 15 ასეთ ყუთში?
დაწერე ეს ამოცანა და ამოხსენი.

155. შეავსე მოქმედებათა ჯაჭვი:

ა) $\boxed{100} \xrightarrow{:4} \bigcirc \xrightarrow{+50} \bigcirc \xrightarrow{\cdot 10} \bigcirc \xrightarrow{+50} \bigcirc \xrightarrow{:8} \boxed{?}$

ბ) $\boxed{?} \xrightarrow{+50} \bigcirc \xrightarrow{-40} \bigcirc \xrightarrow{:4} \bigcirc \xrightarrow{-34} \bigcirc \xrightarrow{\cdot 25} \boxed{150}$

156. შეადგინე გამოსახულება და იპოვე მისი მნიშვნელობა:

- ა) 72-ისა და 78-ის ჯამი შეამცირე 3-ჯერ;
ბ) 42-ისა და 4-ის ნამრავლი გაზარდე 134-ით;
გ) 32-ისა და 28-ის ჯამი გაყავი 12-ზე და განაყოფი გაამრავლე
19-ზე;
დ) 25-ისა და 5-ის ნამრავლს გამოაკელი 54-ის განაყოფი 3-ზე.

157. მართვულხედის პერიმეტრია 24 სმ. რა სიგრძის შეიძლება იყოს
მისი გვერდები, თუ ისინი სანტიმეტრების მთელი რიცხვით
გამოისახება?

§7. რიცხვების შედარება

158. დახედე ჩანაწერებს, კარგად გაიაზრე და თქვი, როგორ უნდა შევადაროთ რიცხვები ერთმანეთს:

ა) $\overset{4}{\overbrace{3715}}$ და $\overset{3}{\overbrace{968}}$
ამიტომ $3715 > 968$

ბ) $\overset{2}{\overbrace{89}}$ და $\overset{3}{\overbrace{111}}$
ამიტომ $89 < 111$

გ) $\overset{4}{\overbrace{5713}}$ და $\overset{4}{\overbrace{5731}}$
ამიტომ $5713 < 5731$

დ) $\overset{4}{\overbrace{2315}}$ და $\overset{4}{\overbrace{2315}}$
ამიტომ $2315 = 2315$

მოისაზრე!

$<, >, =$

159. ($<$, $=$, $>$)

ა) $5321 \dots 7101$
2368 ... 2386
6006 ... 6600
999 ... 1000

ბ) $7253 \dots 7253$
9357 ... 9356
2200 ... 789
333 ... 99

*7** ... 15**

12** ... 83*

160. დაალაგე ზრდის მიხედვით რიცხვები:

3700, 2889, 333, 888, 77, 1000, 3003.

*2** ... 97**

161. რომელია უმცირესი მოცემულ რიცხვთაგან?

4721, 1274, 7421, 2174, 1247, 7214.

162. გამოიანგარიშე ადვილი ხერხით:

ა) $22 + 56 + 28$
153 + 78 + 47
216 + 45 + 104
 $(81 + 48) + 19$

ბ) $119 + 58 + 31$
208 + 134 + 266
152 + (375 + 48)
 $475 + 32 + 68$

163. ამოხსენი ამოცანა:

- ა) მაღაზიაში 7 ერთნაირი ჭომარა შაქარი მიიტანეს. თითოეული 50-კილოგრამიანი. დღის ბოლომდე 258 კვ შაქარი გაყიდეს, დანარჩენი კი ორკილოგრამიან პარკებში გაანაწილეს. რამდენი პარკი შაქარი აქვს მაღაზიას გასაყიდი?
- ბ) ოთხსადარბაზოიანი ცხრასართულიანი სახლის ყოველ სადარბაზოში თითოეულ სართულზე 3 ბინაა. სულ რამდენი ბინა ყოფილა ამ სახლში?

მოისაზრე!

$<$, $>$, $=$

34** ... 35**

9** ... 1***

**** ... ***

164. ჩანსერე უმცირესი და უდიდესი ოთხნიშნა რიცხვები
4, 9, 7, 3 ციფრებით.

165. $(<, =, >)$

- | | |
|------------------|-----------------|
| ა) 4372 ... 5372 | ბ) 1212 ... 989 |
| 2706 ... 2076 | 981 ... 918 |
| 2890 ... 982 | 2358 ... 2350 |
| 2301 ... 2301 | 3033 ... 3303 |

166. დაალაგე კლების მიხედვით რიცხვები:
999, 1100, 297, 1000, 3713, 1010, 3718.

167. რომელია უდიდესი მოცემულ რიცხვთაგან?
6353, 5364, 4536, 2645, 5463, 6543.

168. ა) $57 + 78 - \square = 57$ ბ) $\square - 99 + 99 = 100$
 $128 - \square + 85 = 128$ $500 + \square - 127 = 500$
 $(79 + 27) - \square = 27$ $(\square + 136) - 136 = 60$
 $(\square + 38) - 15 = 38$ $(92 - \square) + 77 = 77$

169. რა მოქმედებით შეიძლება ამოიხსნას ამოცანა?

- ა) მას შემდეგ, რაც ერთ-ერთ სადგურზე მატარებლის ვაგონიდან 32 მგზავრი ჩამოვიდა, ვაგონში ამდენივე მგზავრი დარჩა. რამდენი მგზავრი ყოფილა ვაგონში ამ სადგურამდე?
- ბ) პარკში 27 ნაძვი და 3-ჯერ მეტი ჭადარია. რამდენი ჭადარი ყოფილა პარკში?
- გ) ვანოს 37 მარკა აქვს, გიგოს – 66. ვანოზე რამდენით მეტი მარკა ჰქონია გიგოს?
- დ) ვანოს 17 ცალხაზიანი და 51 უჯრებიანი რვეული აქვს. ცალხაზიანზე რამდენჯერ მეტი უჯრებიანი რვეული ჰქონია ვანოს?
- ე) კლასში 16 ბიჭი და 3-ით მეტი გოგონაა. რამდენი გოგონა ყოფილა კლასში?

გ8. სხვაობის გამრავლება რიცხვზე

170. 1) ამოხსენი ამოცანა:

ბალში ატმისა და ვაშლის ხეების 10 რიგია. ყოველ რიგში ატ-
მის 18 და ვაშლის 15 ხეა. რამდენით მეტი ატმის ხე ყოფილა
ბალში?

2) ანომ და ვანომ ამოცანა ასე ამოხსნეს:



$$\begin{aligned}1) 18 - 15 &= 3 \\2) 3 \cdot 10 &= 30\end{aligned}$$



$$\begin{aligned}1) 18 \cdot 10 &= 180 \text{ (ატმის ხე)} \\2) 15 \cdot 10 &= 150 \text{ (ვაშლის ხე)} \\3) 180 - 150 &= 30\end{aligned}$$

პასუხი: 30-ით მეტი.

პასუხი: 30-ით მეტი.

3) შეადგინე ამოხსნის თითოეული ხერხის შესაბამისი გამო-
სახულება და იპოვე მისი მნიშვნელობა.

4) შეადარე ერთმანეთს მიღებულ გამოსახულებათა მნიშვნე-
ლობები.

სწორი იქნება თუ არა ტოლობა

$$(18 - 15) \cdot 10 = 18 \cdot 10 - 15 \cdot 10?$$

5) მოიფიქრე და გამოთქვი წესი, როგორ შეიძლება სხვაობა
გავამრავლოთ რიცხვზე სხვაობის მნიშვნელობის გამოუთ-
ვლელად.

თუ დავალება სწორად შეასრულე, ასეთ წესს მიიღებდი:

სხვაობა რომ გავამრავლოთ რიცხვზე, შეიძლება ამ რიცხვზე
გავამრავლოთ საკლები და მაკლები და პირველ ნამრავლს
გამოვაკლოთ მეორე ნამრავლი.

171. იპოვე გამოსახულების მნიშვნელობა ადვილი ხერხით:

ა) $(32 + 8) \cdot 5$	ბ) $(70 + 5) \cdot 6$
$(48 - 8) \cdot 7$	$(33 - 6) \cdot 4$
$(25 + 7) \cdot 2$	$(80 - 7) \cdot 3$
$(30 - 12) \cdot 5$	$(72 + 18) \cdot 2$

172. $39 \cdot 8$ გამოსახულების მნიშვნელობა ანომ და ვანომ ასე გამოთ-
ვალეს:



$$39 \cdot 8 = (30 + 9) \cdot 8 = 30 \cdot 8 + 9 \cdot 8 = 240 + 72 = 312$$



$$39 \cdot 8 = (40 - 1) \cdot 8 = 40 \cdot 8 - 1 \cdot 8 = 320 - 8 = 312$$

რომელმა უფრო ადვილად იპოვა გამოსახულების მნიშვნელობა
— ანომ თუ ვანომ?

მოისაზრე!

+ , - , · , :

1 2 3 4 5 6 7 8 9 = 9

1 2 3 4 5 6 7 8 9 = 9

1 2 3 4 5 6 7 8 9 = 9



მიიღე 9 სამი სხვა-
დასხვა ხერხით. შე-
გიძლია გამოიყენო
ფრჩხილები.

მოისაზრე!

+ , -

$$123456789 = 10$$

$$123456789 = 10$$

$$123456789 = 10$$



173. შეარჩიე ადვილი ხერხი და იპოვე გამოსახულების მნიშვნელობა:

ა) $72 \cdot 4$

$81 \cdot 7$

$49 \cdot 6$

ბ) $28 \cdot 9$

$42 \cdot 5$

$57 \cdot 4$

გ) $74 \cdot 3$

$59 \cdot 5$

$22 \cdot 7$

174. გამოიანგარიშე ზეპირად:

ა) $11 \cdot 5 + 3 \cdot 3 = \square$

$13 \cdot 4 + 6 \cdot 3 = \square$

$17 \cdot 10 - 8 \cdot 5 = \square$

$19 \cdot 9 - 8 \cdot 9 = \square$

ბ) $49 \cdot 0 + 12 \cdot 5 = \square$

$32 \cdot 4 + 8 \cdot 4 = \square$

$37 \cdot 6 - 7 \cdot 6 = \square$

$49 \cdot 5 - 5 \cdot 9 = \square$

175. ($<$, $=$, $>$)

სადაც შეძლებ, შედარების ნიშანი ჩაწერე გამოსახულებათა მნიშვნელობების გამოუანგარიშებლად.

პასუხი ახსენი.

$(29 - 12) \cdot 3 \dots 29 \cdot 3 - 12 \cdot 3$

$(27 + 13) \cdot 5 \dots (27 - 13) \cdot 5$

$(17 + 9) \cdot 6 \dots 17 \cdot 6 - 9 \cdot 6$

$(31 - 6) \cdot 5 \dots 31 \cdot 5 + 6 \cdot 5$

$(48 - 25) \cdot 4 \dots 48 \cdot 4 - 4 \cdot 25$

$(33 + 18) \cdot 6 \dots (18 + 33) \cdot 8$

176. 1) ამოხსენი ამოცანა:

5 პატარა ყუთში 30 კგ ატამი თანაბრად გაანაწილეს, თითოეულ დიდ ყუთში კი 3 კგ-ით მეტი ატამი ჩააწყვეს, ვიდრე პატარებში. რამდენი კილოგრამი ატამი ჩაუწყვიათ 7 დიდ ყუთში?

2) რას გვიჩვენებს გამოსახულება

ა) $(30 : 5 + 3) \cdot 7 + 30;$

ბ) $(30 : 5 + 3) \cdot 7 - 30?$


მიღე 10 სამი სხვა-დასხვა ხერხით. შეგიძლია გამოიყენოფრჩხილები.

გ9. მართკუთხა პარალელეპიპედი

177. 1) დაასახელე მართკუთხა პარალელეპიპედის ფორმის საყოფაცხოვრებო საგნები;
- 2) რამდენი წახნაგი, რამდენი წვერო და რამდენი წიბო აქვს მართკუთხა პარალელეპიპედს?
- 3) რას წარმოადგენს მართკუთხა პარალელეპიპედის წახნაგები?
- 4) დაასახელე (ა) სურათზე მოცემული ფიგურის
 ა) ხილული წახნაგები;
 ბ) უხილავი წახნაგები;
 გ) წვეროები;
 დ) წიბოები;
 ე) ზედა და ქვედა წახნაგები;
 ვ) წინა და უკანა წახნაგები;
 ზ) მარცხენა და მარჯვენა წახნაგები.

მოისაზრე!

52		56
	50	
		48




178. 1) ჩამოთვალე (ა) სურათზე მოცემული მართკუთხა პარალელეპიპედის
 ა) ტოლი წახნაგების წყვილები;
 ბ) ტოლი წიბოების ოთხეულები;
 გ) C წერტილიდან გამოსული წიბოები.
- 2) რას წარმოადგენს მართკუთხა პარალელეპიპედის ფორმის მისი ერთი წვეროდან გამოსული სამი წიბო?
- 3) (ა) სურათზე მოცემული მართკუთხა პარალელეპიპედის სიგრძეა AD, სიგანე – AB, სიმაღლე – AM.
 დაასახელე ყველა სხვა წიბო, რომელიც, აგრეთვე წარმოადგენს ამ ფიგურის
 ა) სიგრძეს; ბ) სიგანეს; გ) სიმაღლეს.

შეავსე „ჯადასნური კვადრატი“

მოისაზრე!


	23	
24	19	26

თუ ქალალდისგან დამზადებულ მართვულხა პარალელეპიპედს წიბოებზე გავჭრით, მივიღებთ ექვს წყვილ-წყვილად ტოლ მართვულხედს.



ამ ნაწილებით შეგვიძლია აღვადგინოთ მოცემული ფიგურა ან გამოვჭრათ საჭირო ზომის მართვულხედები და დავამზადოთ პარალელეპიპედი.

ანოს, ვანოს და გიგოს აზრით საჭირო არ არის ყველა მართვულხედის ცალ-ცალკე გამოჭრა. შეიძლება ზოგი შეერთებულიც იყოს ერთმანეთთან. ასეთია, მაგალითად, ნამცხვრის კოლოფის შლილის ერთ-ერთი ვარიანტი (წყვეტილები გადაკეცვის ხაზებია).





შეავსე „ჯადასნური კვადრატი“

179. 1) შეეცადე მოიფიქრო შლილის სხვა ვარიანტი;
 - 2) მათემატიკის რვეულში მოცემული შლილის მიხედვით დაამზადე პარალელეპიპედი.
180. 1) აღწერე კუბი — უპასუხე კითხვებს:
 - ა) რას წარმოადგენს კუბი?
 - ბ) რამდენი წვერო, რამდენი წიბო, რამდენი წახნაგი აქვს კუბს?
 - გ) რას წარმოადგენს კუბის წიბო? წახნაგი?
 - 2) დაასახელე კუბის ფორმის საგნები.

181. დაასახელე (ა) და (ბ) სურათებზე გამოსახული კუბის
 ა) ნვეროები და ნიბოები;
 ბ) ხილული და უხილავი წახნაგები


მოისაზრე!






ასანთის 24 ღერით
 შეადგინე ასეთი ფი-
 გურა:

182. (ა) სურათზე გამოსახული კუბის ნიბოს სიგრძეა 2 სმ. რამდენი
 სანტიმეტრი იქნება უმოკლესი მანძილი A-დან K წერტილამდე
 ნიბოებზე მოძრაობისას?

183. კუბის ნიბოს სიგრძე 5 სმ-ია. რა სიგრძის მავთული იქნება
 საჭირო მისი კარკასის დასამზადებლად?



184. სურათზე მოცემულ კუბის შლილებზე ქვედა წახნაგი გაფე-
 რადებულია. წარმოიდგინე კუბი და განსაზღვრე, რომელი
 კვადრატი იქნება ზედა წახნაგი



185. დაამზადე კუბის მოდელი მათემატიკის რვეულში მოცემული
 კუბის შლილით.

186. გამოიყენე შეკრებისა და გამრავლების გადანაცვლებადობის
 თვისება და იპოვე გამოსახულების მნიშვნელობა:

ა) $13 + 27 \cdot 5$	ბ) $9 \cdot (73 - 43)$
$25 + 72 : 6$	$16 + 25 \cdot 6$
$7 \cdot (38 - 13)$	$4 \cdot (33 + 17)$
$3 \cdot (42 + 18)$	$29 + 88 : 8$

187. გამოანგარიშე:

ა) $123 - 65 : 5$	ბ) $789 - 549 : 9$
$280 : (39 - 25)$	$218 + 43 \cdot 2$
$120 - 12 \cdot 6$	$96 : (57 - 49)$
$127 + 5 \cdot 19$	$417 : (39 : 13)$
$150 : (45 : 3)$	$550 - 47 \cdot 3$

გადაადგილე 12
 ღერი ისე, რომ ორი
 ტოლი კვადრატი
 მიიღო.

188. იპოვე შეცდომები და გაასწორე:

ა) $(100 - 15) : 17 = 5$	ბ) $815 - 309 : 3 = 712$
$(59 + 37) : 32 = 3$	$264 + 170 \cdot 2 = 604$
$69 : 23 \cdot 19 = 57$	$12 \cdot 6 + 545 = 617$
$126 : 7 + 39 = 67$	$248 : 8 + 645 = 676$
$300 - 6 \cdot 16 = 204$	$400 : (54 + 46) = 6$
$120 + 12 \cdot 6 = 192$	$72 : 24 \cdot 16 = 48$

189. ამოხსენი განტოლება და შეამოწმე:

ა) $599 - x = 67$	ბ) $x - 213 = 598$
$718 + x = 930$	$x + 427 = 805$
$3 \cdot x = 96$	$x \cdot 5 = 325$
$186 : x = 31$	$x : 8 = 28$

190. ამოცანის ამოსახსნელად შეადგინე გამოსახულება და იპოვე მისი მნიშვნელობა:

- ა) მაღაზიაში 135 მაჯის საათი და 3-ჯერ მეტი მაღვიძარა მიიტანეს. რამდენით მეტი მაღვიძარა მიუტანიათ მაღაზიაში?
- ბ) ბალში 115 ვაშლის ხეა, კომშისა კი 5-ჯერ ნაკლები. რამდენი ვაშლისა და კომშის ხე ყოფილა ბალში?
- გ) თოჯინების თეატრში სკოლიდან 85 ბიჭი და 90 გოგონა უნდა წაიყვანონ. რამდენი ავტობუსი დასჭირდებათ ამისთვის, თუ ავტობუსში უფროსებთან ერთად 35 ბავშვი ეტევა?

191. გამოთვალე გამოსახულების მნიშვნელობა როგორც სრული, ისე გამარტივებული ხერხით და შეადარე მიღებული შედეგები:

ა) $15 + 12 + 12 + 12 + 12 + 12$ $21 + 21 + 21 + 21 + 21 + 21$	ბ) $29 + 18 + 18 + 18 + 18$ $17 + 17 + 17 + 17 + 17$
---	---

192. 1) წაიკითხე თითოეული სვეტის რიცხვები წყვილ-წყვილად:

1	2	3	4	5	...	9
1 000	2 000	3 000	4 000	5 000	...	9 000

- 2) რით ჰგავს ეს რიცხვები ერთმანეთს და რით განსხვავდება?
- 3) რით ჰგავს ერთმანეთს ამ რიცხვების სახელები და რით განსხვავდება?
- 4) დაასახელე მიმდევრობით სვეტები, რომლებიც მრავალ-წერტილის ადგილას უნდა ეწეროს.

193. 1) დახაზე რვეულში თანრიგების ცხრილი:

ათასეულები 4	ასეულები 3	ათეულები 2	ერთეულები 1

მოისაზრე!

ასანთის 24 ღერით
შეადგინე ასეთი ფი-
გურა:

2) ჩანერე ცხრილში და წაიკითხე შემდეგი რიცხვები:

781, 54, 2315, 2305, 2015, 80.

3) ჩანერე ცხრილში კიდევ სამი სხვა რიცხვი და წაიკითხე.

194. 1) ჩანერე რიცხვები ციფრებით ერთ სვეტად და წაიკითხე:

5 ას. 5 ერთ. 5 ათას. 55 ერთ.

5 ას. 55 ერთ. 50 ას. 50 ერთ.

5 ათას. 5 ერთ. 5 ათას.

2) რას გვიჩვენებს ციფრი 5 თითოეულ რიცხვში? რას გვიჩ-
ვენებს ციფრი 0 ამ რიცხვებში?

3) ჩანერე რაც შეიძლება მეტი სხვა ერთნიშნა, ორნიშნა, სამ-
ნიშნა, ოთხნიშნა რიცხვები 0 და 5 ციფრებით. წაიკითხე
ეს რიცხვები.

4) დაწერე ყველა ხუთნიშნა რიცხვი, რომლებშიც ორი ხუთი-
ანია და სამი 0.

195. $3\ 529 = \square$ ათას. \square ას. \square ათ. \square ერთ.

$2\ 713 = \square$ ათას \square ერთ.

$1\ 356 = \square$ ას. \square ათ. \square ერთ.

$4\ 234 = \square$ ას. \square ერთ.

$9\ 318 = \square$ ათ. \square ერთ.

$7\ 025 = \square$ ათას. \square ერთ.

$6\ 666 = \square$ ას. \square ათ. \square ერთ.

$8\ 080 = \square$ ას. \square ათ.

196. $5\ 005 = 5$ ათას. 5 ერთ.

$2\ 065 = 20 \dots 65 \dots$

$7\ 610 = 761 \dots$


$3\ 952 = 39 \dots 5 \dots 2 \dots$

$4\ 308 = 43 \dots 8 \dots$

$6\ 015 = 60 \dots 15 \dots$

$4\ 009 = 400 \dots 9 \dots$

$8\ 778 = 87 \dots 78 \dots$



აიღე 4 ღერი, რომ
დაგრჩეს 5 ტოლი
კვადრატი.

მოისაზრე!

ვაჭარი, რომელიც
A ქალაქში ცხოვ-
რობს, მანქანით
აპირებს B, C და D
ქალაქების შემოვ-
ლას (იხ. სურათი),
სადაც მითითებუ-
ლია ქალაქებს შო-
რის მანძილები).
რომელი გზა უნდა
აირჩიოს მან, რომ
რაც შეიძლება ნაკ-
ლები საწვავი დახ-
არჯოს?

197. მოიფიქრე, რა წესითაა შედგენილი მწკრივი და მიუწერე შემ-
დეგი სამი რიცხვი:
- 5 013, 5 023, 5 033, 5 043, ...
2 002, 3 003, 4 004, 5 005, ...
3 658, 3 657, 3 656, 3 655, ...
4 003, 4 005, 4 007, 4 009, ...
1 720, 1 717, 1 714, 1 711, ...
198. ამოხსენი ამოცანა:
- ა) მოჭადრაკემ 12 პარტია მოიგო, 4-ჯერ ნაკლები წააგო და
წაგებულზე 2-ით მეტი პარტია ყაიმით დაასრულა. რამდე-
ნი პარტია უთამაშია მოჭადრაკეს?
- ბ) გლეხმა ერთი ნაკვეთიდან 976კგ კარტოფილი აიღო, მეო-
რიდან – 254 კგ-ით მეტი, მესამიდან კი – 110კგ-ით ნაკ-
ლები, ვიდრე მეორიდან. რამდენი კილოგრამი კარტოფი-
ლი აუღია გლეხს სამივე ნაკვეთიდან.
199. ტეხილი სამი მონაკვეთისგან შედგება. ერთი მონაკვეთის
სიგრძეა 18 სმ, მეორე მისი ნახევარია, მესამე კი 6 სმ-ით
გრძელია მეორეზე. რა სიგრძის ყოფილა ტეხილი?

